

α
ρ
ω

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

სარცხუნოება და ფიციონალიზაცია

თბილისი | 2012 | №2

თბილისი, 0179. ნ. რამიშვილის ქ. №35ა, საღ. №1, ბ. №1.

ტელ.: +995 (32) 2447730, +995 (32) 2250243

ელ. ფოსტა: secretarial@logos.org.ge; ვებ გვერდი: www.logos.org.ge



საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

სარწმუნოება და ფსიქოთერაპია

თბილისი | 2012 | №2

სემინარი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს.

საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი



მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი:
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

პრეამბულა

საკაცობრიო ღირებულებების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბიბლია. საღმრთო სიბრძნემ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ადამიანს. ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საჭიროა როგორც რაციონალური (ლოგიკური, ცდისეული), ასევე ირაციონალური (ინტუიტიური, მისტიკური) გაგების, წვდომის, ჭვრეტის კულტურა. სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირება ნიშნავს შემეცნების საზღვრების შევიწროებას, სამყაროს შესახებ არასრული, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნას. ისტორიაში ყოფილა არაერთი მაგალითი როგორც მისტიკური ჭვრეტის წინაშე ლოგიკური აზროვნების როლის დამცირებისა, ასევე ცდისეული მეთოდის აბსოლუტური უპირატესობის აღიარებისა სულიერთან შედარებით. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა გულისა და გონების ჰარმონიული მონაწილეობით შემეცნებისა და შემოქმედების პროცესში. ტაო-კლარჯეთისა და ათონის სკოლის ტრადიციების

გამგრძელებელი გელათის აკადემიის უმთავრესი იდეა იყო კავშირი სულიერებისა და ინტელექტუალური კურას მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა.

წმინდა ილია მართალის მოსწრებული სიტყვით მე-19 საუკუნის წმინდა მღვდელთმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა. საქართველოში ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

საკაცობრიო ღირებულებები ჭეშმარიტების შემეცნების საიმედო ორიენტირია ყველა ერისათვის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს თავისი განუმეორებელი ხელწერა, რითაც მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება საკაცობრიო მემკვიდრეობა.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის.“

თვითმყოფადი ეროვნული კულტურების გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნძე და, პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო.

ამ სულისკვეთებისადმი ერთგულებით ჩვენს თანამედროვეთა შორის გამოირჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი უწმიდესობის აზრით, საქართველოს ეროვნული იდეა გულისხმობს სამი უდიდესი ღირებულების ერთიანობას. ეს ღირებულებებია – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

ჩვენი სემინარის უმთავრესი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენი საბოგადოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები განხილულ იქნას ზემოხსენებული ფასეულობების ფონზე.

სემინარის თემატიკა

- სარწმუნოება და მეცნიერება
- ეროვნული იდეის არსი ცნობიერება
- ეკლესია და პიროვნული თავისუფლება
- სარწმუნოება და ფსიქოთერაპია
- ეკლესია და ოჯახი
- ეკლესია და განათლება
- ეკლესია და
- ახალგაზრდობა
- ეკლესია და კულტურა
- ეკლესია და მასმედია
- ეკლესია და ეკონომიკა
- ეკლესია და სოფლის მეურნეობა
- ეკლესია და სახელმწიფო
- საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალიზაცია

სემინარის პრობლემატიკა განხილული იქნება ორი თვალსაწიერით – მართლმადიდებლური სწავლებისა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებების შესაბამისად. წარმოდგენილი იქნება ორი მოხსენება: ერთი – ღვთისმსახურთა და მეორე – მეცნიერთა წარმომადგენლის მიერ.

სემინარი „სარწმუნოება და ფსიქოთერაპია“ გაიმართა 2012 წლის 30 მარტს.

ძირითადი მომსხვენებლები:

დეკანოზი დავით ციცქიშვილი
„სარწმუნოება და ფსიქოლოგია“

ილიას უნიერსიტეტის პროფესორი რევაზ კორინთელი
„სარწმუნოება და ფსიქოთერაპია“

შესავალი სიტყვა:

ნინო ჭავჭავაძე

ფსიქოლოგის დოქტორი, გამგეობის წევრი

თემის განხილვაში მონაწილეობდნენ:

ნინო სირაძე

ილიას უნივერსიტეტის სოციალურ და პუმანიტარულ

მეცნიერებათა ინტერდისციპლინური პროგრამის დოქტორანტი

მამა გიორგი წეროძე

სამების საკათედრო ტაძრის მოძღვარი

ლელა ტყეშელაშვილი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

უნივერსიტეტის დოქტორანტი, სასულიერო აკადემიის

პედაგოგი, ფსიქოლოგი

სოფო გოგოჩაშვილი

სასულიერო სემინარის პედაგოგი, ფსიქოლოგი

ნინო მენთეშაშვილი

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ფსიქოლოგი

ლანა სულხანიშვილი

ფსიქოლოგი. ილიას უნივერსიტეტი. საქართველოს

საპატირიარქოს წმინდა თამარ მეფის სასწავლო უნივერსიტეტი.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული

უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნინო განდელაკი

ფსიქოლოგი. საქართველოს საპატირიარქოს ფსიქოლოგიური

დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)

საქართველოს საპატირიარქოს წმინდა თამარ მეფის სასწავლო

უნივერსიტეტის რექტორი

ამ გამოსვლების სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ოფიციალურ

ვებ-გვერდზე www.logos.org.ge

სარწმუნოება და ფსიქიკური პრობლემები

დეკანოზი დავით ციცქიშვილი

შესაძლოა ბევრმა არ იცის, რომ თავდაპირველად ფსიქიკური აშლილობის მქონე ხალხს ეკლესია მკურნალობდა. მართლმადიდებელ ქვეყნებში მონასტერში სხვადასხვა კუთხიდან მიჰყავდათ ამა თუ იმ სულიერი, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები. მონასტრის ძმები იქ სიყვარულით ეყყრობოდენ მათ, ღოცვით, უდრტვინელი მოვლით, სხვა საეკლესიო საშუალებებით ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მათი მძიმე ყოფა. შემდეგ დადგა ეტაპი, როცა ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის განვითარებასთან ერთად ფსიქიკური პრობლემები მარტო ამ დარგების სპეციალისტთა საქმედ გამოცხადდა, სულიერი მომენტი თანდათან გაფერმკთალდა და განიდევნა თვალთახედვის არედან. ეკლესიამ, სასულიერო პირთა მისიამ დაკარგა თავისი ფუნქცია.

ეს იყო ადრე, ახლანდელ დროში კი ფსიქიკური პრობლემების დაძლევის კუთხით სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ის მომენტი, რომ ძალა ერთობაშია. მარტო ეკლესიამ ან მარტო ფსიქოლოგიამ, ან ფსიქიატრიამ კი არ უნდა იძრძოლოს ფსიქიკურ აშლილობათა წინააღმდეგ, ერთმანეთისგან მოწყვეტით, არამედ ეს ორი მხარე უნდა გაერთიანდეს და საერთო ძალისხმევით შეუტიოს ამ დიდ პრობლემას. მეცნიერებამ უნდა გამოიყენოს ის მეტად მნიშვნელოვანი ცოდნა, საშუალებები, რომლებიც მართლმადიდებელ სარწმუნოებას გააჩნია ამ მიმართულებით და საკუთრივ ეკლესიამაც უნდა გაითვალისწინოს ის დიდი გამოცდილება რაც, ფსიქოლოგიამ და ფსიქიატრიამ დააგროვა ამ მხრივ. ნაპრალი უნდა ამოივსოს და გაერთიანებული ძალისხმევით მოხდეს ფსიქიკურ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლა.

უწმინდესა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქს იღია II-ს მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა სარწმუნოების გამეცნიერება და მეცნიერების გასარწმუნოება. როცა ეს პარმონიული შერწყმა ისეთი პრაქტიკული, მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ეხება, როგორიც ფსიქიკური პრობლემებია, ამ ამოცანის შესრულება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სასულიერო პირთა დიდ მისიაზე კი ჩვენი პატრიარქი ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში აღნიშნავს: „მოძღვარს აქვს ღვთისგან მინიჭებული მადლი ცოდვათა გახსნისა და მიტევებისა. აღსარებითა და ზიარებით პიროვნებაში ხდება სულიერი ფერისცვალება, შინაგანი წონასწორობის აღდგენა. ღმერთი მწუხარებისაგან გათანგულს ნუგეშს აძლევს, შურისძიების სურვილის შეპყრობილს – მიტევების მადლს, აფორიაქებულს – სიმშვიდეს, და-ჩაგრულს – სულიერ ძალას“.

„მე ვსუფევ მაღალში – ბრძანებს უფალი – და სიწმიდეში, მაგრამ მე ვარ ტანკულთანაც და სულით გლახაკთან, რათა ცხოველვყო გლახაკთა სული და ცხოველვყო ტანკულთა გული“ (ეს. 57, 15); „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“ (მათ. 11, 28).

როცა ეკლესიური კუთხით ფსიქიკური აშლილობების შესახებ ვსაუბრობთ, ისმის კითხვა: მაინც რატომ უშვებს უფალი ამ სახის სწეულებებს და რა მნიშვნელობა, დატვირთვა აქვთ მათ? სანამ საკუთრივ ფსიქიურ აშლილობებზე შევჩერდებოდეთ, მოკლედ შევეხოთ მართლმადიდებლური კუთხით უფლის მხრიდან სხვადასხვა სწეულების დაშვების მიზებებს. ზოგჯერ ღმერთი მათ გვიგზავნის როგორც სასკელს ცოდვები-სათვის, ხანდახან ვნებათა დათრგუნვისა და განწმენდისათვის. ავადმყოფობა თავიდან გვაცილებს მომავალ ცოდვებს, რასაც ჩავიდენდით, რომ ვყოფილიყავით ჭანმრთელნი და უზრუნველნი, ლაღნი. შეიძლება სენი ჩვენი უსაქმურობისთვისაც შეგვეყაროს, რათა გამოვთხიზლდეთ და ვიზრუნოთ სულისათვის. ზოგჯერ უფალი ავადმყოფობებით გამოსცდის ჩვენს მოთმინებასა და რწმენას, რათა მოგვიმზადოს ჭილდო

მომავალი ცხოვრებისათვის. თითოეულს საკუთარი სინდისი ეტყვის, თუ რით არის განპირობებული მისი ავადმყოფობა.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ: როგორც მიტროპოლიტი ანტონი სუროველი წერს, „არცერთი ავადმყოფობა არ შეიძლება მიენეროს მარტოოდენ ცოდვას, არც პირადულს ან წინაპრული ხაზის, არც კიდევ ადამისა და ევას ქმედებას და ა.შ. თქმა იმისა, რომ შიბოფრენია, კიბი ან რაღაცა სხვა სენი აუცილებლად ცოდვას უკავშირდება, არ შეიძლება. არც თუ იშვიათად ხდება, რომ ღმერთი ავადმყოფობას საკუთარი ხსნისათვის უგზავნის კაცს.

მე მახსენდება ნაცნობის მონათხრობი იმის შესახებ, აღნიშნავს მეუფე ანტონი, თუ როგორ სთხოვეს წმინდანს ელოცა ერთ-ერთი კაცის განკურნებისთვის. მან ილოცა და უფალმა გაუმჟღავნა ის, რომ შეეძლო, ცხადია, განეკურნა იგი, მაგრამ ეს სენი მის და გარშემომყოფების ხსნისთვის იყო განკუთვნილი... წმინდანთა ცხოვრებაში ვხვდებით ისეთ მაგალითებს, როცა ისინი ან უბრალო მორჩმუნენი ავად იყვნენ არა იმის გამო, რომ გახლდნენ ცოდვილნი, არამედ იმ მიზეზით, რომ ეს მათვის გახლდათ გზა ხსნისა, თან არა მხოლოდ მათთვის, არამედ მათ გარშემო სხვებისთვისაც.

ერთ-ერთი გლეხი მე-19 საუკუნეში 39 წელი იწვა პარალიზებული სოფელში, საკუთარ სახლში და ბევრისთვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს, გზას ცხონებისკენ. ის, თუ როგორ აღიქვამდა თავის სნეულებას, ითმენდა მას, რა ნათელი, სიხარულის გამომხატველი სახით ხვდებოდა მიმსვლელებს, იყო მაგალითი მათთვის, ვინც შეეხებოდა მას“.

ერთ-ერთი სულიერი ფსიქოთერაპიული დახმარების ხერხია ის, რომ როცა ძალიან გიჭირს, გაიხსენო, წარმოიდგინო ისინი, ვინც შენზე უფრო მძიმე ყოფაში არიან, ვთქვათ საპატიმროში, ფრონტის წინა ხაზზე მყოფნი, ვინც ინვალიდის სავარაღლით გადაადგილდება. ზოგჯერ უფალი უშვებს, რომ სწორედ იმ მომენტში ნახო ასეთი ხალხი, როდესაც

განსაკუთრებით გიჭირს, გიტევს სასოწარკვეთილების ვნება, თვლი, რომ მეტად გაუსაძლისია შენი ყოფა, მაშინ ხვდები, რომ არსებობს ადამიანები უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ვისთან შედარებითაც დიდად არაფრად მოჩანს საკუთარი ტკივილი, გაჭირვებაში ყოფა.

მაშინ უნებურად ფიქრობ, თუ ეს ხალხი ასე სულგრძელად, დიდსულოვნად იტანს ტანკვას, მე რაღა დამემართა, თავად ხომ მათთან მიმართებით უფრო კარგ მდგომარეობაში ვარ.

ცალკეა გამოსაყოფი ის მიზეზები, რატომაც უშვებს უფალი ადამიანთან ფსიქიკური აშლილობის არსებობას. წმინდა წერილი ამ მიზეზთა დადგენაში გვეხმარება. ზოგჯერ ეს იმის გამო ხდება, რომ უფალი ხედავს, კაცი გონებას თავისდა საზიანოდ გამოიყენებდა, დასაღუპავად ან კიდევ ამ განსაცდელით თავიდან აცილებს რაიმე ცოდვას, რასაც ჩაიდენდა ჭანმრთელად ყოფნისას. ამიტომაც იყო, რომ წმინდანები, დიდი მართლმადიდებელი მამები, მაგ.: წმინდა სერაფიმე საროველი, იოანე კრონშტადტელი და სხვა, ზოგჯერ უარსაც კი აცხადებდნენ განეკურნათ ესა თუ ის შეპყრობილი, ფსიქიკურად დაავადებული, რადგანაც სულიერი თვალით ჭრებდნენ, რომ ასეთი მდგომარეობა მათთვის უფრო სასიკეთო იქნებოდა, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა.

არის კიდევ ერთი რამ, რის გამოც უშვებს უფალი ადამიანთან ფსიქიკური აშლილობის არსებობას. არის ადგილი წმ. იოანე კრონშტადტელის ნაწერებში, სადაც იგი შემდეგ რამეს აღნიშნავს: „არსებობენ სულები, რომლებიც იმდენად მსხვრევადნი არიან, რომ დაილენებოდნენ გარემო სამყაროსთან მიახლოებისას უხეშობის, სისასტიკის გამო. ამიტომაც ღმერთი უშვებს მას, რომ მათსა და გარე სამყაროს შორის ერთგვარ ფარდასავით ჩამოეშვას, რათა დაცული იქნეს ეს ხალხი, რათა არ დაირღვეს მათი ფსიქიკური, სულიერი მთლიანობა. ამ ფარდის იქით კი სული მწიფდება და იცვლება, გარკვეულ-ნილად ადამიანი იზრდება“.

მიტროპოლიტი ანტონი სუროველი თავისი ცხოვრებიდან შემდეგ შემთხვევას იხსენებს: „დიდი ხნის წინ, როცა საფრანგეთში ექიმად ვმუშაობდი, ერთ-ერთი მხატვრის მდგომარეობასთან დაკავშირებით მომმართეს. იყო ჩვენს წრეში ერთი გამოჩენილი ხატმწერი, რომელსაც თანდათანობით დაეწყო ფსიქიკური აშლილობა. მისი დედა და და ისე იქცეოდნენ, როგორც უმრავლესობა ამ დროს იქცევა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო არ დაეძიმებინათ მდგომარეობა, როცა იგი ამბობდა. რომ გრძნობს, მაგალითად, გოგირდის სუნს, ისინიც ეთანხმებოდნენ ამას, იღებდნენ ისეთ სახეს, თითქოს პაერს ყნოსავდნენ და პასუხობდნენ: დიახ, დიახ, მართლაც რომ ასეა...“ იმ დროს, როცა ამას საერთოდ ვერ გრძნობდნენ. რადგან სინამდვილეში ხომ ასე არ გახლდათ.

როცა ავადმყოფობამ განვითარება დაიწყო, როგორც ექიმს კითხვით მომმართეს: მას ვასხურებდით ნაკურთხ წყალს, ვათქმევინებდით აღსარებას, ვიხდიდით პარაკლისებს, ვცხებდით ზეთს, ვაზიარებდით, მაგრამ არ განიკურნა, ისევ ავადა! ახლა რაღა ვქნათ? მაშინ ვუპასუხე: „უბრალოდ გაგზავნეთ საავადმყოფოში, რათა ელექტროთერაპია ჩაუტარონ. მახსოვს, როგორი აღშფოთებით მომმართეს: შენ რა, ურწმუნო ხარ?! რას ფიქრობ, იმას, რომ რაც ლოცვის ძალამ ვერ შეძლო, მას გააკეთებს ელექტროთერაპია? თუკი ეშმაკი მოქმედებს მასში? მაშინ გულწრფელად მივუგე: „თუ მასში ბოროტი მოქმედებს, ელექტროშოკი ამ ძალას ვერაფერს უზამს, კაცი კი შეიძლება იხსნას...“ ეს დიდი აღშფოთებით მიიღეს, მაგრამ იძულებული გახდნენ სნეული მაინც საავადმყოფოში მოეთავსებინათ. რადგანაც იქ ვმუშაობდი, მე მას ყოველდღე ვხედავდი. საავადმყოფოში, დაახლოებით, წელიწადი დაპყო. სრული შეურაცხადი გახლდათ, მძვინვარებდა... არავის შეეძლო მასთან კონტაქტში შესვლა... შემდეგ კი უცრად გონჩე მოვიდა.

როდესაც სამედიცინო დახმარების წყალობით საავადმყოფოდან განკურნებული გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ ის დაე-

მართა, რასაც წმინდა იოანე კრონშტადტელი აღნიშნავს, ჰერ კიდევ გამოუცდელი, მაგრამ მეტად ნიჭიერი, ამასთან მოუმნიშვნელი ხატმწერი ჩამოყალიბებულ ოსტატად მოგვევლინა. ამას კი ადრე ვერ იტყოდი, ნამდვილად!

ფსიქიკური აშლილობები შეიძლება სხვა მიზეზებითაც იყოს განპირობებული. მაგ.: გამოყოფენ დეპრესიის შემდეგ სახეებს, ნევროზულს, რომელიც წარმოიშობა, პირობითად რომ ვთქვათ, ნერვულ ნიადაგზე, დაძაბულობის, კონფლიქტების (გარეგანი თუ შინაგანი, სულიერი) შედეგად ფსიქიკური თვალსაზრისით პოტენციურად ჭანმრთელ ადამიანთან. მკვლევართა უმეტესობა ხაზს უსვამს ადამიანის პიროვნული თავისებურებების როლს ნევროზული დეპრესიის ფორმირებაში.

ფსიქიკური აშლილობები შეიძლება იყოს აგრეთვე: სომატოგენური, როგორც სომატური დაავადებების შედეგად წარმოშობილი ფსიქიკური დარღვევები.

ენდოგენური, რომელთა განვითარება განპირობებულია კონსტიტუციონალური ფაქტორებით. ამგვარი ტიპის დეპრესიები გვხვდება შიგოფრენიის, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზების დროს, ინვოლუციურ (მზარდ) ფსიქოზებში. დეპრესიის აღწერილი სახეობა სიტუაციურ ფაქტორებთან და ცხოვრებისეულ გარემოებებთან არ არის დაკავშირებული და ბუნებრივად ვითარდება. ფარული, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა სახის ფიზიკური ავადმყოფობით (ტკივილები გულის ან კუჭის არეში, თავის ტკივილები და სხვა). ამ შემთხვევაში ფიზიკური უძლურებები კი არ არის დეპრესიის თანამდევი, არამედ, პირიქით, თვით ეს დაავადებაა დეპრესიის გამომხატველი.

ცალკეა გამოსაყოფი დეპრესიის ან სხვა ფსიქიკური აშლილობის ისეთი სახეები, რომელთა დროსაც დავთის საწინააღმდეგო ძალის ზემოქმედების ხელწერა ნათლად ჩანს. წმინდა ბარნაბა (ბელიაევი) თავის ერთ-ერთ ნაშრომში ლირსი

სინკლიტიკია ალექსანდრიელის შემდეგ გამონათქვამს იხ-სენებს: „არის სევდა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს და არის სევდა, რომელიც ვნებს ადამიანს. სევდის სარგებლობა საკუთარი ცოდვების განცდაში მდგომარეობს, რათა კაცი დასახულ მიზანს არ აცდეს – მოიპოვოს სრული სიკეთე და სასუფეველი. ესაა სევდა ღვთისთვის, მაგრამ აქ შეიძლება მტრის ხელიც ერიოს, მანაც შეიძლება მოგვაროს სევდა, სავსე უგნურებით, რასაც სასონარკვეთას უწოდებენ...“

მოდის მიმდევარი ქალი იმიტომ ტირის, რომ არა აქვს საგა-აზაფხულო ქუდი, რომ მოდიდან გამოვიდა მისი ფეხსაც-მელი, „ვიღაცა“ ეარშიყება „ვიღაცას“, ეს ვიღაცა კი უფრო ლამაზი და ბედნიერია, ვიღრე თვითონ; ახალგაზრდა მამაკაცს აწუხებს ჭიბის ფულის ნაკლებობა, რომ მას არ შეუძლია მისი დახარჯვა თავის სიამოვნებისთვის; ცოლი ტირის ქრის ღალატის გამო; ხოლო ქმარი კი იმიტომ, რომ უსიამოვნება აქვს სამსახურში; ექიმი, ადვოკატი, ინჟინერი _ ყველა უკმაყოფილოა მცირე ხელფასით, მათთვის ყველაფერი ცოტაა; ვაჭარი სასონარკვეთილია დანაკარგის გამო, ყველა მოთქვამს და წუხს. ის კი, ვინც მდიდარია და ფუფუნებაში ცხოვრობს, განიცდის, რომ რაღაც არა აქვს ან დაკარგა. ზოგჯერ ასეთი სევდა აჭკნობს ადამიანს, სწეულებამდე, სიკვდილამდე მიყავს იგი (2 კორინთ. 7, 10). ეს ეშმაკისეული სევდაა. ჩვენი მოდგმის მტერი იწვევს ასეთ სევდას და კაცობრიობა გმინავს ამის გამო, ცდილობს გაიუმჭობესოს ცხოვრება, მაგრამ ღვთის გარეშე ამას ვერ ახერხებს.

ქრისტიანობა, პირიქით, გამსჭვალულია ნათელი სიხარულის, სასოების, რწმენის, სიყვარულის სულით. დევნილი არ წუხს, ტანკული ყველაფრისთვის მაღლობს უფალს; დამცირებული ლოცულობს მტრებისთვის, ერთნაირად იღებს ქებასა და გმობას, ცდილობს ემსახუროს ღმერთს და მოიპოვოს დიდება არა ადამიანთა, არამედ ღვთის წინაშე“.

მამა პაისი ასე არიგებდა თავის სულიერ შვილებს: „მე შევამჩნიერ, რომ ხალხი ამ მშვენიერ ცხოვრებას თავად ხდის რთუ-

ლად თავისი უგნური სწრაფვით კეთილდღეობის მოსაპოვებლად. ისინი, როდესდაც უნდა მიხვდნენ, რომ ბედნიერება მაშინ მოიპოვება, როცა მცირედით კმაყოფილდები? დღეს კი რას აკეთებენ? ყიდულობენ... ყიდულობენ... ყიდულობენ ნივთებს, მანქანებს, ელექტროტექნიკას, კიდევ საგნების სხვა გროვას, ბუნებრივია, არ ყოფნით ფული და მუდმივად შფოთავენ. უნდა დაკმაყოფილდე მცირედით და არ ეპოტინებოდე ბევრს, რამეთუ გაქვს რა მხოლოდ აუცილებელი, არ გჭირდება ხანგრძლივი მუშაობა. მაშინ მეტი დრო გექნება, დაჯდე შინ ახლობლებთან, ბავშვებთან ერთად, რითიმე დაკავდე, იყო ოკაზურ სითბოში, მყუდროებაში, არ იყო გზაბე მუდმივ დაძაბული. ის კი არ უნდა ინდომო, იშოვნო ბევრი ფული, არამედ ქრისტიანულად იცხოვრო – გქონდეს ნაკლები მოთხოვნები და მხოლოდ აუცილებლით დაკმაყოფილდე“.

ტრადიციული მედიცინა ნევროგის სამ სახეს : ნევრასტენიულ, აკვიატებულ მდგომარეობათა და ისტერიულ ფორმებს გამოყოფს.

ნევრასტენიკის ტიპური პორტრეტი შემდეგნაირად გამოიყურება: ის არის სწრაფად აღგზნებადი, ფეთქებადი, გაღიზიანებული ადამიანი, რომელსაც აშკარად ღალატობს ნერვები ან, ჰირიქით, მოშვებული, მტირალა გამომეტყველების კაცი, რომელიც გრძნობს დაღლილობასა და სასიცოცხლო ძალების განლევას. მაგრამ აი, რა არის საინტერესო: ნევრასტენიკის გაღიზიანება, ფეთქებადობა მიმართულია არა საკუთარი თავის, არამედ მხოლოდ გარემომცველი საზოგადოების მიმართ, მას ყველა და ყველაფერი აღიზიანებს, ხშირად ჭირვეულობს, ბრაზდება და თითქმის ვერასდროს აღის ისეთ სულიერ სიმაღლეზე, რომ დაინახოს თავისი შეცდომები, ცოდვები. ამგვარად, ნევრასტენია მეტად თუ ნაკლებად, არის უფრო ეგოისტური ნევროზი, რომელიც საზრდოობს იმ ცოდვილი ვნებით, რომელსაც წმინდა მამები ამპარტავნებას, ანუ ქედმაღლობას უწოდებენ. როგორც მამა ალექსანდრე (ელჩანინოვი) აღნიშნავს: „განა შესაძლე-

ბელია ნევრასტენიკად ისეთი კაცის წარმოდგენა, რომელიც თავმდაბლობით, სიკეთით და მოთმინებით გამოირჩევა? პასუხი ალბათ ნათელია: არა!“

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის გამოვლენას აკვიატებული აზრების, მოგონებების, ეჭვების, ქმედებების გაჩენა წარმოადგენს. იგი შესაძლოა დემონური თავდასხმების შედევი იყოს. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას ჭამის წინ რამდენიმე ათეულაჲერ ხელების დაბანის სურვილი ან დაუოკებელი სწრაფვა გამვლელთა ღილების დათვლისა. დედას, რომელსაც ძალიან უყვარს შვილი, უცბად უჩნდება შიში იმისა, რომ შეუძლია მისი მოგზდვა. ასეთი აზრი აძრნუნებს მას, იგი არ არის ნაკარნახევი რეალური გარემოებით, არ შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს, მოკლებულია ყოველგვარ ჭანსაღ საფუძველს, მაგრამ იგი მაინც ჩნდება. ავადმყოფი მეტად იტანქება, წუხდება თავის მდგომარეობით, მაგრამ ვერაფერს უხერხებს მას.

აკვიატებული აზრები ხშირად იწყება კითხვით – „ვაითუ?~ შემდეგ ისინი ავტომატიზირდებიან, მკვიდრდებიან ცნობიერებაში, მეორდებიან მრავალაჲერ და დიდ სიძნელეებს ქმნიან ცხოვრებაში. რაც უფრო მეტად ებრძვის მათ ადამიანი, მით უფრო იპყრობს მას“.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზს განეკუთნება, აგრეთვე, აკვიატებული შიშების გაჩენაც. თუ განიცდიან მას, როგორც რაღაც გაურკვეველთან დაკავშირებულს, მაშინ ხდება შიშის სინდრომის გამოვლენა, ხოლო თუ ეშინიათ, ვთქვათ: სიბნელის, სიმაღლის, ბასრი საგნების, ჩაკეტილი სივრცისა, ასეთი მდგომარეობა უკვე განისაზღვრება, როგორც ფობია. ზოგჯერ ფობია ვლინდება შესაბამის სიტუაციაში: სიმაღლის შიში ზევით ასვლისას, თაგვის – დანახვისას, მაგრამ არც თუ იშვიათად ის ჩნდება ფიქრის დროსაც. მას მნიშვნელოვნად განაპირობებს გრძნებადი წარმოსახვის გახელება. მაგ.: არა მხოლოდ ეშინიათ სიმაღლიდან ჩავარდნისა, არამედ ყოველმხრივ

აღვივებენ მას, წარმოიდგენენ შეთხმულ სიტუაციას, თავის დაკრძალვას, ჩასასვენებელში ყოფნას და სხვას. ამგვარი შიში არ არის განპირობებული რეალური საფუძვლით, იგი ილუბორული ან ნაკლებ მოსალოდნელია. დაფუშვათ, ადამიანი დაავადებულია კარდიოფონბიული ნევროზით, ანუ აქვს შიში იმისა, რომ მისი გული გაჩერდება. ერთი მხრივ, ეს თეორიულად შესაძლებელია. ხომ ხდება ხოლმე, ჭანმრთელად რომ თვლიდნენ, ახალგაზრდა კვდება უცებ, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ჩნდება მოჩერენებითი, წარმოსახული საშიშროება, დაუსაბუთებელი შიშით, აზრებით რომ არის განპირობებული.

მოკლედ შევეხოთ აკვიატებულ ქმედებებსაც. ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და ხშირად ჩვეულებრივი რიტუალის სახე აქვთ. მეორდებიან ლოგიკისა და აუცილებლობის გარეშე და ბუნებრივია, იწვევენ ცხოვრებისეული რიტმის დარღვევას. ამგვარი ქმედებების გამოვლენაა მაგ. ხელების აკვიატებული ბანვა, განმოსვისა და შემოსვის რიტუალი, ავეჯის უაზრო გადაადგილება, თუმცა ამის საჭიროება არ არის, ფულის მრავალჭერ დათვლა, კაკუნი, ქანაობა, გარკვეული საგნების გვერდის ავლა, წარმოსახვით ბოროტებასთან შეხვედრისას გაურკვეველი სიტყვების თქმა, ქმედებების შესრულება. თავს იჩენს შვების შეგრძნებაც აკვიატებული მოქმედებების განხორციელებისას, თუმცაღა იგი დროებითია და მალევე ჩნდება სურვილი მათი გამეორებისა. ამის შემდეგ ისევ ყველაფერი თავიდან იწყება.

ისიც უნდა ითქვას, რომ აკვიატებული აზრების ბუნების შემცნებისთვის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ადამინის მხრიდან გაუცხოების გრძნობის არსებობა მათგამი და იძულების შეგრძნება ნების, სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდეს ამ აზრთა ხორცშესხმა. ეპისკოპოსი ბარნაბა (ბელიაევი) წერს: „რით არის განპირობებული ის იძულება, რასაც განიცდიან, თუ ადამიანი ყოველნაირად ცდილობს განაგდოს გაჩენილი აზრი, არა აქვს სურვილი მისი მიღებისა, მიიჩნევს მას უცხო, ავადმყოფურ ელემენტად, ცხადია, უწმინდური,

ბოროტი სულით. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის გასაგები ხდება აზრების ალოგიკურობა, ტირანია, რომელიც შეინიშნება ამ დროს, შვების მომენტი (ბოროტი უკან იხევს მას შემდეგ, რაც ადამიანს მიიყვანს სასურველ მდგომარეობამდე), გასაგებია მტანჯველი სინანულიც, ამ შემთხვევაში რომ შეიმჩნევა კაცთან, რადგანაც სინდისი მაინც ქეჭნის მას“.

ამჟამად მცხოვრებთა შეცდომა ის არის, რომ მათ მარტოდენ აზრები კი არ ტანჯავენ, როგორც ისინი ფიქრობენ, არამედ ეშმაკიც... ასე მაგ. როცა ცდილობენ აზრს აზრით შეებრძოლონ, ხედავენ, რომ ეს აზრები უბრალო კი არ არის, არამედ აკვიატებულია, კაცი ვერ ებრძვის მათ, რადგან მათ წინაშე იგი უძლურია. ისინი ლოგიკას არ ექვემდებარება, უცხოა და საძულველი... თუ ადამიანი არ აღიარებს ეკლესიას, მადლს, წმინდა საიდუმლოებებს, აქვს კი თავდაცვის იარაღი? რა თქმა უნდა, არა. როცა გული დაცლილია მორჩილებისგან, მასთან ერთად ყველა სხვა სათნოებისგან, მოდის დემონი და წარმართავს კაცის გულსა და გონებას, როგორც სურს.

ამა თუ იმ ფსიქიკური აშლილობებისგან ცალკეა გამოსაყოფი ეშმაკისეული შეპყრობილობის მდგომარეობა, რომლის დროსაც განსაკუთრებით გამოკვეთლია რელიგიური მომენტი. იგი გულისხმობს იმას, რომ იგი მძაფრდება სხვადასხვა ქრისტიანულ სიწმიდესთან მიახლებისას, იქნება ეს – ჭვარი, ხატი, წირვის დროს მორწმუნეთა საზიარებელი ჭურჭელი თუ სხვა რამ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი იღანძლება, ბილწილებულობს, ყვირის სხვადასხვა სახის უღირს სიტყვებს, ეწყება კრუნჩხვები, ზოგიერთი ჰკივის არაადამიანური ხმით, ზოგი კი ყეფს ძალლივით, ყივის მამალივით, ქალი იწყებს მამავაცის ბოხი ხმით მეტყველებას, შეურაცხყოფის მიყენებას სასულიერო პირთათვის, გვერდითმყოფთათვის, ზოგჯერ იჩენენ დიდ ფიზიკურ ძალას რაიმე დიდ სიწმინდესთან მიახლების მცდელობისას. ასეთი ავადმყოფები ხანდახან საუბრობენ სხვისი სახელით და კრიტიკულ დროს გრძნობენ თავს მტრული ძალის ტყვეობის ქვეშ, რის გამოც მეტად იტანჯებიან. მათი სახე

განსაკუთრებით შეტევებისას გამოხატავს უკიდურეს წამებას და ამასთან ახდენს სხვაზე ყოველივე ამისგან სწრაფად განრიცების შთაბეჭდილებას. უნდა ითქვას, უფრო მძაფრდება ასეთი შემოტევები სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულის, რიტუალის ჩატარებისას. ამ დროს ფსიქიკური აშლილობის გამოვლენა ნაძალადევ ხასიათს ატარებს, რადგან ადამიანისთვის მიუღებელია, საძულველია ყოველივე ის, რასაც აკეთებს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწვის უნარი დაკარგული აქვს. სხვა მთელი რიგი ფსიქიკური აშლილობებისაგან განმასხვავებელ ნიშნად ითვლება ისიც .რომ ადამიანს აქვს კრიტიკული დამოკიდებულება ყოველივე იმის მიმართ, რაც ხდება მასთან.

წმ. ათონის მთის ბერი მამა პაისი კითხვაზე: „თუ როგორ შეიძლება გავიგოთ ადამიანთან ფსიქიკური აშლილობაა თუ ეშმაკისეული მდგომარეობა?“ პასუხობს – ეს შეუძლია გაიგოს თუნდაც უბრალო მოკრძალებულმა ექიმმაც. ადამიანები, რომლებიც უწმინდური სულისაგან იტანჯებიან, მიუახლოვდებიან რა სინმინდეს, აღიგზნებიან და იწყებენ ცახცას. თუ მათ სთავაზობ მიიღონ ცოტაოდენი ნაკურთხი წყალი ან გსურს პირჭვარი გადასახო წმიდა ნაწილებით, ისინი მაშინ წინააღმდეგობას გიწევენ, რადგანაც ღვთაებრივი მადლი ავიწროებს მათთან ჩაბუდებულ ბოროტ ძალას. ხოლო თუკი იტანჯებიან რაღაც სხვა სულიერი, ფსიქიკური აშლილობით, ამ შემთხვევაში მსგავსი რამ არ ხდება.

ცნობილ რუს ფსიქიატრს დ. ავდეევს ეშმაკისეული მდგომარეობის გამოვლენის ასეთი შემთხვევა მოჰყავს: ჩემთან მორნმუნე, მართლმადიდებელი ქალი მოვიდა, ტაძრის წინამძღვრის გამოგზავნილი, რომლის მრევლის წევრადაც იგი ითვლებოდა. წყნარი ხილაბანდით მოსილი, სათვალეების მიღმა ლამაზი, ნაცრისფერი-მოცისფრო თვალები ჩანდა. თავის მდგომარეობის შესახებ მიყვებოდა. როგორც ფსიქიატრს ძნელი არ იყო შემემჩნია ფსიქიკური აშლილობა მასთან. უცბად იგი შეიცვალა და გააქტიურება დაიწყო, თან ხმამაღლა, მეტად უსიამოვნო ჩახრინწული ხმით უცენბზურო

გინება აღმოხდა, ამასთან თითქოს თქვა კიდეც რამდენიმე ფრაზა. სასულიერო პირის ვლადიმერ ემელიჩევის წიგნში: „შეპყრობილები და ბოროტ სულთა განდევნა“ ვხვდებით ასეთ შემთხვევათა აღნერას: საღვთო ლიტურგიის ჩატარებისას, როცა თასი გამოიტანეს წმიდა ნაწილებით, იქ დამსწრეთა საზიარებლად, ერთმა ქალმა არააღამიანური კივილი მორთო და ისტერიული შეტევა მოუფიდა, მაგრამ როგორც კი იგი გაიტანეს, მაშინვე დაწყნარდა და ისევ დაუბრუნდა ნორმალური მდგომარეობა. ერთ-ერთ მონასტერში ზეთისცხების ქრისტიანულ რიტუალზე დასწრებისას 12 კაცში რამდენიმე ეშმაკისეულ მდგომარეობაში მყოფიც აღმოჩნდა. ეს მათთვის ზეთის პირველი ცხებისთანავე გამჟღავნდა, მანამდე კი ისინი იდგნენ ჩუმად. პირველ მათგანს, რომელიც მარცხენა მხარეს იდგა, კრუნჩხვა დაეწყო, დაიგრიხა სხვადასხვანაირად და აკვენესდა საშინლად, თან ღრიალი აღმოხდა. მეორე შეპყრობილმა ქალმა უხეში და არაბუნებრივი მამაკაცის ბოხი ხმით ყვირილი მორთო: „არ გამოვალ, არ დაგნებდები, არ გამოვალ, არ დაგნებდები“. არა და ლოცვის წინ კარგად ჩანდა, თუ როგორ ლაპარაკობდა ჩვეულებრივად. უკან ძაღლის ყეფის ხმა და ამასთან სიტყვები „უფალო, შემიწყალე“ გაისმა. როგორც ნამდვილი ძაღლი, ისე ყეფდა და ასეთი მიმსგავსება გაუჭირდებოდა პროფესიონალ მსახიობსაც კი. სანამ ეს რიტუალი მიმდინარეობდა, მუდმივად ისმოდა ყეფა და შემდეგ „უფალო, შემიწყალეს“ ცრემლნარევი ხმა.

აქ ერთ პატარა შემთხვევას მოვიყვანთ, რომელიც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა: ერთხელ მორწმუნებმა მითხრეს: ეკლესიაში დადის ერთი ქალბატონი, იგი მოძღვარს ხედავს, მის სხეულს ხედავს, ხოლო მის სახეს ვერ აღიქვამს. ხდება ასეთი უცნაურობა. აღსარებაზე მიდის, ხოლო ზიარებით უკვე ვეღარ ეზიარება. რაღაც უშველეთო – მთხოვეს. საღამოს ლოცვა იყო, მე მაშინ მღვდელ-მონაზონი გახლდით. დამთავრდა იგი და მაჩვენეს, ვინც გახლდათ. ხალხში ჩავედი, ხელი მოვკიდე, მობრძანდით-მეთქი, ვუთხარი. წინ

გამოვიყვანე და ლოცვის წაკითხვა შევთავაზე. კვეთებულის ლოცვა არის „კურთხევანში“, რომლითაც განიდევნება ადამი-ანისგან ბოროტი ძალა. საოცარია, მიმეორებდა, სხვა დროს იყოს, სხვა დროსო. არა-მეთქი, უნდა ახლავე წაგიკითხო-მეთქი, ვუთხარი. წინ დავაყენე და საკურთხეველში უნდა შე-ვიდე, წიგნი, ჰვარი, ნაკურთხი წყალი გამოვიტანო. ეს ქალი რომ გავუშვა, გაიცევა. სრულიად ნორმალური ქალი გახ-ლდათ, კარგი ოჭახიდან. მეორე მღვდელმა გამომიტანა ეს ყველაფერი. კითხვა დავიწყე და მას დაეწყო ბრძოლა. მა-მაკაცები იყვნენ იქ და ძლივს აჩერებდნენ. მერე თითქოს დაწყნარდაო და მეუბნება (როცა ამ ლოცვას კითხულობ, ეს მეტად ძნელი საქმეა, ამის კითხვა ყველას არ შეუძლია, ის, ვინც ამას აკეთებს, ძალიან მარხული უნდა იყოს, მოღვაწე, მით უმეტეს საშიშია ეს ცოლ-შვილიანი მღვდლისათვის, იყო შემთხვევები, როცა ბოროტი სული ცოლ-შვილზე გადასულა), პოდა მეუბნება: ახლა დავწყნარდი, გამიშვითო. მართლაც გაუშვეს. ეცა ოლარს და დაგლეჭა უნდოდა, მერე ისევ დაი-ჭირეს. როგორც იყო დავამთავრე ეს ლოცვა, სულ ოფლიანი გახლდით. მეორე დღეს კიდევ მოიყვანეს. მესამე დღეს თვი-თონ მოვიდა და ეს ადამიანი სრულიად განთავისუფლდა ამ საშინელი ეშმაკისგან. მერე მითხრა, უფრო გვიან, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. რუსეთში რომ ვცხოვრობდი იგი რუსი გახლდათ, რომელიღაც წვეულებაზე მოვხვდიო, არაყი დავლიერ და ქუჩაში რომ გამოვედით, მოძღვარი შეგვხვდა, ჩვენ მას დაცინვა დავუწყეთო და იმწუთიდან მასში ეშმაკი შე-ვიდა. სულ ცოტა, 10-20 წელი იგი ამ წამებაში გახლდათ“.

თანამედროვე ფსიქიატრია გამოყოფს შემდეგ ნიშნებს, რომლითაც დემონური ზემოქმედების ქვეშ მყოფნი განსხ-ვავდებიან სხვა ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთაგან: „შეპყრობილის გარევნული სახე გამოხატავს პიროვნების სრულ ცვალებადობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამი-ანი სხვა ინდივიდის ბატონობის ქვეშ ექცევა. პირველადი და მეორადი მდგომარეობის განმასხვავებელი ნიშნები კი შემ-დეგია:

- სახის გამომეტყველების სწრაფი – მეგობრულიდან

საძაგელი ელფერის გრიმასამდე ცვლა.

- გუნება-განწყობის სწრაფი ცვალებადობა.
- ქალის ტემბრის – სოპრანოს, მამაკაცური ბოხი ხმით-ბანით შეცვლის პერიოდის არსებობა.
- ცნობიერების ახალი ინდივიდის ნიშნებით შეცვლა.

ამ ოთხ გამოვლინებას ჩვეულებრივ თან ახლავს მძლავრი ქცევითი აქტიობაც. შეპყრობილთაგან ჩნდება გამძვინვა-რების მომენტი, კრუნჩხვა, მრისხანების შემოტევები, სხვაზე ძალადობის მცდელობა. ხშირად ხდება რომ სუსტი ქალები დიდ ნინააღმდეგობას უწევენ 3-4 ძლიერ მამაკაცს. შეპყ-რობილები ხშირად აძაგებენ წმ. სამებას და ზიზღით მოიხსე-ნიებენ სიტყვას უთლისა.

ცალკეა გამოსაყოფი ის, თუ როგორ ეხმარება ეკლესიური მადლი, საშუალებები ფსიქიკურ აშლილობათა სიმპტომთა შესუსტებას, არცთუ იშვიათად კი მათ გაქრობას. ხშირად ის, რაც ვერ კეთდება ფსიქიატრთა ჩარევის, მათ მიერ დანიშ-ნული კურსის შედეგად, მშვენივრად ხერხდება ღვთაებრი-ვი მადლის მოქმედებისას. ერთ-ერთი პაციენტი ბოდვითი იდეებისა და აკვიატებული აზრების შესახებ წერს: „ძალიან ძნელია მათი პირდაპირი მიმართულებით დაჭაბნა, მაგრამ ისინი შეიძლება დავამარცხოთ შემოვლითი გზითაც. როცა ბოდვით მდგომარეობაში საავადმყოფოში ვიყავი, დედამ აღსარება თქვა და ღვთისმშობლის სახელზე წყლის კურთხ-ევით პარაკლისი შეუკვეთა – ამის შემდეგ ბოდვამაც დამტო-ვა. როცა გიტვეს აკვიატებული აზრები, მაინც ვერ ახერხებ განთავისუფლებას, დაჭაბნას, რამდენიც არ უნდა შეენინაღ-მდეგო მათ. ამ აზრებთან რაღაც ძალა იგრძნობა სატანური, გულს აშფოთებს, მოქმედებს არა მხოლოდ გონგე, არამედ გრძნობებზედაც, აღაგზნებს მათ. მაგრამ შემოვლითი გზით ჯობნა შესაძლებელია. მაგალითად, ვთხოვე ელოცათ ჩემთ-ვის და აზრებმა, რომლებიც მუდმივად მიტრიალებდნენ თავ-ში, დამტოვეს, არადა ეს იყო კითხვები, რომლებზეც ამაოდ ვცდილობდი პასუხის გაცემას“.

როგორც ცნობილი რუსი მართლმადიდებელი ფსიქიატრი დ. ავდეევი წერს: „უმრავლეს შემთხვევაში ფსიქიკური აშლი-ლობების ჟამს „სულიერი დიაგნოზიც“ შეიძლება დაისვას. აქ საბღვრები მეტად გამჭვირვალეა, არაერთხელ მინახავს სულიერი ავადმყოფი ამ სნეულების დიდი სტაჟით, რომელთ-ანაც თანდათან ეკლესიური ცხოვრების დაწყებასთან ერთად, ღვთის წყალობით გამქრალა სხვადასხვა ძნელად განკურ-ნებადი ან განკურნებელი სიმპტომები, გამოვლინებები ავადმყოფობისა. ლოცვა, მარხვა, წმინდა საიდუმლოებები ძირეულად ცვლიდა მათ ფსიქიკურ მდგომარეობას, უქრებო-დათ ბოდვითი იდეები, ჰალუცინაციები, მზერა უხდებოდათ უფრო აზრიანი, გაცილებით უმჯობესდებოდა მდგომარეობა. ფსიქიკურად შეშლილის ნიღბის ნაცვლად სახეზე აღებეჭდ-ებოდათ სულიერება“.

ფსიქიკურ აშლილობათა შემთხვევაში სნეულთათვის მეტად მნიშვნელოვანია მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზ-რისით მათი მხრიდან სხვადასხვა ეკლესიურ, ღვთაებრივ საიდუმლოებაში მონაწილეობის მიღება. ასეთი გადახრების დროს, არცთუ იშვიათად, მოძღვარი ურჩევს მათ ხშირ აღ-სარებასა და ზიარებას. აკვიატებული აზრები, შიშები, ბოდვი-თი იდეები ხშირად ყველაფერთან ერთად დემონური ზემოქ-მედების გამოხატულების შედეგიცაა, გამოვლენაა ერთგვარი სულიერი ბრძოლისა. ამიტომაც უმრავლეს შემთხვევაში ჭირს მარტოოდენ ფსიქიატრიული, ფსიქოლოგიური ჩარე-ვით, მედიკამენტებით ამ დაპირისპირების მოგება, ბოროტს ვერ დაამარცხებ მხოლოდ სამკურნალო კურსით, ამისთვის აუცილებელია ღვთაებრივი მაღლიც, ის მაღლი, რომელიც მოგვეცემა საეკლესიო საიდუმლოებების შესრულების ჟამს. თუ აღსარებაში არ ითქვა აკვიატებული აზრების, იდეების შესახებ, ისე ძნელია, რომ შეასუსტო ამ დროს წარმოებუ-ლი ბრძოლა. სინანულის საიდუმლო ასუსტებს მათთან და-კავშირებულ უარყოფით მუხტს, მთელ რიგ შემთხვევებში კი სრულიად განაქარვებს მას. როცა მღვდელთან ითქმება ასეთი შემოტევების შესახებ, აღინერება მათთან დაკავშირე-ბული განცდები, ეს ძალუმი იარაღია მდგომარეობის გასაუმ-ჯობესებლად. რაც უფრო ხშირად ითქმება, განსაკუთრებით

ვითარების გამწვავებისას, მათ შესახებ, მით უფრო კარგია, მალევე იგრძნობს ადამიანი შვებას. კონკრეტულად, საკ-მარისად ზუსტად უნდა აღინეროს მათი გამოვლინებები, სიმპტომები და ღვთაებრივი მადლის კეთილისმყოფელი ძალაც არ დაახანებს, მადლისა, რომელიც გარდამოდის კაცებების საეკლესიო საიდუმლოებების შესრულების ჟამს. იგივე შეიძლება ითქვას ლოცვის შესახებაც. როცა გამწვავებულია მდგომარეობა, ადამიანს აწუხებს მშფოთვარე აზრები, გრძნობები, ხშირად ლოცვის დაწყება ხელს უწყობს მათ განდევნას. თუმცადა კარგი იქნება თუ ამას არ ექნება ისტერიული ხასიათი, ერთი და იმავე, ვთქვათ, იესოს ლოცვის გამეორება არ მოხდება სწრაფად. ერთ აუჩქარებელ, დინჯად თქმულ ლოცვას ხშირად მეტი ძალა აქვს, ვიდრე მის ხშირ-ხშირად თქმას სწრაფად. თან ზოგჯერ მალევე რომ არ ხდება ლოცვის დაწყებისას მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს იწვევს ხელის ჩაქნევის მომენტს, ყოველივე ამის უშედეგობის განცდას. უნდა გადალახულ იქნას ეს ბარიერი, გაგრძელდეს ლოცვა და მოთმინება იქნას გამოჩენილი ასეთი განსაცდელის მიმართ. ასევე ითქმის მაცხოვრის სისხლისა და ხორცის ზიარებასთან დაკავშირებითაც. ეს ყველაზე დიდი მართლმადიდებლური ქრისტიანული საიდუმლო მეტად მძლავრი იარაღია სულიერი, ფსიქიკური აშლილობების ჟამს. მისი აღსრულების შემდეგ მაზიარებლისათვის ნათქვამი სიტყვებიც ძალიან კარგად მიუთითებს ამას „საკურნებლად სულისა და ხორცისა“ – ეუბნებიან ასეთ დროს კაცს.

და ბოლოს მოკლედ შევეხოთ, თუ როგორ შეიძლება დაძლეულ იქნას ესა თუ ის ფსიქიკური პრობლემა. ვთიქრობთ, რომ დრომ მოამწიფა, როგორც უკვე მოხსენების დასაწყისში ითქვა, რომ ძალა ერთობაშია. გამომდინარე იქედან, თუ რას მოითხოვს სიტუაცია, რაღაც ეტაპზე წინ იწვევს ფსიქიატრის ან ფსიქოლოგის მისია. როცა მწვავე ფსიქიკურ აშლილობასთან გვაქვს საქმე, იქ აუცილებელი ხდება მედიკამენტური მკურნალობის ჩატარება, ზოგჯერ პაციენტის სტაციონარში მოთავსება. ვთქვათ, როცა ბავშვებთან ფსიქიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაში მოცემული დარგის

კარგი სპეციალისტის როლი მეტად მნიშვნელოვანია. ასეთ დროს სასულიერი პირის მხრიდან, არცთუ იშვიათად, შეგრძნებაა, რომ აქ მდგომარეობის გამოსწორება მის შესაძლებლობებს აღემატება. ფსიქოთერაპიაც, ფსიქიატრიაც, ისევე როგორც მედიცინის დარგები: კარდიოლოგია, გინეკოლოგია და ა.შ. უფლის დაშვებით არის ჩამოყალიბებული და მათ სამსახურზე უარის თქმა გაუმართლებელია. ჩვენს დროში, რომ მრავლად იყვნენ ისეთი სასწაულთმოქმედი მამები, როგორებიც იყვნენ: წმ. სერაფიმე საროველი, წმ. იოანე კრონდეშტანტელი, მამა გაბრიელ ურგებაძე, რომლებიც თავიანთი სასწაულმოქმედი ძალით კურნავდნენ როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ, ფსიქიკურ სნეულებებს. შეიძლება ეს ნაკლებად დაგვჭირვებოდა, მაგრამ ახლა ხომ სულ სხვა რეალობაა. ჩვენს დროში ასეთი გაქანების მართლმადიდებელი მოღვაწეები ნაკლებად არიან.

როცა უკვე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მდგომარეობა გამოსწორებისკენ მიდის და მასთან ამ კუთხით კეთილსახოვანი ძვრები ხდება, აქ უკვე შეუდარებლად იზრდება სასულიერო პირთა მისიის მნიშვნელობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიმჩნევა მოცემული ფაქტორის კეთილისმყოფელი ზეგავლენა, როგორც ზემოთ ითქვა, მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის დროსაც ეკლესიური წესების შესრულებას დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

სარწმუნოება და სულიერი ფსიქოთერაპია

რეზო კორინთელი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერება და რელიგია სინამდვილეში კი არ უპირისპირდება, არამედ ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. ოწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას: პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღწვის.

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 1988 წლის საშობაო ეპისტოლებში აღნიშნავს: „თავისთავად მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა. ამიტომაც მეცნიერების მონაპოვარი დალოცვილია და უნდა გამოიყენებოდეს პიროვნების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის მხოლოდ და არა მის დასათრგუნად“.

ტრადიციულად ფსიქოთერაპია, როგორც მედიცინისა და პრაქტიკული ფსიქოლოგიის დარგი, მეცნიერებას განეკუთვნება, თუმცა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისგან გასხვავებით, ის უფრო ახლო ჰემანიტარულ მეცნიერებებთან და რელიგიისთან დგას, რადგანაც მისი კვლევისა და ზემოქმედების საგანს ადამიანი, მისი ფსიქიკური და სულიერი კეთილდღეობა წარმოადგენს. ადამიანის გაუცხოება, მისი გადალახვის გზები და ცხოვრების საზრისის ძიება, ანუ პიროვნების სრულყოფილება მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

სიღრმის ფსიქოლოგია, თანამედროვე ფსიქოანალიზი და სულიერი ფსიქოთერაპია პიროვნების ფსიქო-ფიზიკური და სულიერი კეთილდღეობის მიღწევაზე, ცხოვრების ჭეშმარიტი ფორმების მიგნებასა და ადამიანის თვითრეალიზაციაზეა

მიმართული. იგი ცდილობს პასუხი გასცეს იმ მარადიულ კითხვებს, რომლებიც საკუთარი თავის ძიების პროცესში მყოფ ადამიანში აუცილებლად წამოიჭრება: ვინ ვარ, რატომ ვარ დედამიწაზე, რა დანიშნულება აქვს ჩემს ცხოვრებას? რა არის ჩემი მოწოდება?

1985 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წერს: „ღვთისმეტყველთა განმარტებითა და ქრისტიანთა შეხედულებით, ადამიანი ღვთის იდეა და ქმნილებაა ამქვეყნად, ყველაზე სრულყოფილი, მაგრამ მაინც განვითარებადი. სრულქმნის პროცესი პიროვნების თავისუფალი ნებით იწყება დედამიწაზე და შემდეგ მარადიულ სამყოფელში გრძელდება. კაცს აქვს თავისი დანიშნულება საწუთროში და ღვთის ნების განსახორციელებლად გააჩნია კიდეც შესაბამისი სასიცოცხლო სწრაფვა და მოთხოვნილება, ოღონდ ამისთვის საჭიროა მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოყენება, ნიჭისა და მადლის გამომზეურება“.

ჩემოაღნიშნული ფსიქოლოგიის ენაზე თვითრეალიზაციას გულისხმობს, რაც მეტამოთხოვნილებების (ჭეშმარიტების, მშვენიერების, შემოქმედებისა და რელიგიური მოთხოვნილებების და სხვ.) დაკმაყოფილებაში გამოიხატება.

პიროვნების სრულყოფილების განხილვისას ეკლესიური სწავლება ვნებებისგან გათავისუფლებაზე საუბრობს. ვნებები ადამიანს იპყრობს და თავისუფალ ნებას აკარგვინებს. ეს თვალსაჩინო ფსიქიკური დაავადებების დროს. ვნებების რელიგიურ ცნებას ფსიქოანალიზმი კომპლექსების ცნება შეესაბამება. სიღრმის ფსიქოლოგია ფსიქიკური დაავადებების წარმოშობაში, განვითარებასა და მკურნალობაში გადამწყვეტ როლს კომპლექსებსა და მათი უარყოფითი ზეგავლენის დაძლევა-აღმოფხვრას ანიჭებს.

ეს მოხსენება რელიგიური და მეცნიერული, კერძოდ, ფსიქიატრიული, ფსიქოთერაპიული მიდგომების დაახლოებას

ისახავს მიზნად. **იგი ვნებების**, მათგან გათავისუფლების შესახებ რელიგიურ მოძღვრებისა და **კომპლექსების** და მათი-გადალახვის გზების შესახებ ფსიქოლოგიური თეორიის შედარებითი ანალიზსა და თანამედროვე ჭრილში გაშუქების მცდელობას წარმოადგენს; მოხსენებაში, აგრეთვე, ასახულია სულიერი განზომილების და სულიერებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიის ძირითადი პრინციპები.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მართლმადიდებლურ ფსიქოთერაპიას. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მსგავსად სხვა ფსიქოთერაპიული მიდგომებისა, ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს. მოხსენებაში განხილულია მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის დეფინიცია, მისი ფორმები და პიროვნების მისეული მოდელი, ძირითადი პრინციპები და ის თავისებურებები, რომელიც მას განსხვავებს სულიერებაზე ორიენტირებული სხვა ფსიქოთერაპიული მიმართულებებისგან.

ფსიქოანალიტიკოსების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ კომპლექსის ტერმინის დამკვიდრებას ციურიხის ფსიქო-ანალიტიკურ სკოლას (ე. ბლეიილერი, კ. გ. იუნგი) უნდა ვუმადლოდეთ. გთავაზობთ კომპლექსების რამდენიმე განმარტებას: 1. კ. გ. იუნგის თანახმად, კომპლექსი არის აფექტურად დამუხტული წარმოდგენების ერთობლიობა (Gefühlstbetonter Vorstellungs Komplex). ეს არის ძლიერი აფექტური ძალის მქონე იდეებისა და მოგონებების ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად არაცნობიერია. ისინი ყალიბდება ბავშვობაში ინტერპერაციალური ურთიერთობების საფუძველზე და ზემოქმედებენ ადამიანის ფსიქიკის ყველა დონეზე: ემოციებზე, აზრებზე, განწყობასა და ქცევაზე (J. Laplanche, J.B. Pontalis, 1988).

კომპლექსების აღმოსაჩენად იუნგმა შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტი. ასოციაციური ტესტით იუნგმა კომპლექსების არსებობა ემპირიულად დაასაბუთა და სიღრმის ფსიქოლოგიასა და ფსიქოსომატიკას ექსპერიმენტული საფუძველი ჩაუყარა.

კომპლექსის გამოვლინებებია: 1. წაცდენები/შეცდომები; 2. საკუთარ თავზე არასწორი წარმოდგენა და საგნებისა და მოვლენების გაუკუღმართებული, მცდარი ხედვა; 3. პიროვნებაზე ზემოქმედების უნარი – ის გვფლობს ჩვენ და არა ჩვენ – მას; 4 ემოციური ძალა – კომპლექსს ახასიათებს ძლიერი ემოციური მუხტი.

კომპლექსი შეიძლება იყოს **ცნობიერი, არაცნობიერში გან-დევნილი** (ერთ დროს იყო ცნობიერში და მერე განიდევნა იქიდან) და **არაცნობიერი.**

ჩ. ბოდუინი (Baudouin C. 1933) განასხვავებს კომპლექსების 3 ჯგუფს: 1. ობიექტ-კომპლექსებს, რომლებიც გარეგანი ობიექტების ფლობის სურვილით ხასიათდება; 2. ეგო-კომპლექსებს, რომლებიც ადამიანის მე-სთან, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებასთანაა დაკავშირებული; 3. ქცევის კომპლექსებს, რომლებშიც ცხოვრებისეულ პრობლემებზე ინდივიდის რეაგირების ტიპი, მათთან გამკლავების ჩამოყალიბებული ფორმები იგულისხმება.

სიღრმის ფსიქოლოგის განვითარების პროცესში გამოიკვეთა კომპლექსის ტიპები. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

1. **კაენის კომპლექსი** – გულისხმობს ბავშვის დამოკიდებულებას ახალშობილი და- ძმის მიმართ. ამ დროს ბავშვი შიშობს, რომ მათი გაჩენით ის ჩამოგდებული იქნება იმ პრივილიგირებულ ტახტიდან, რომელზედაც მისი მშობლების განსაკუთრებულმა სიყვარულმა აიყვანა. ის ჩანაცვლებული იქნება და-ძმით, ამით კი დაკარგავს ყურადღებასა და სითბოს დედის მხრიდან. ამ შიშებ ბავშვი რეაგირებს ინტენსიური სიძულვილით თავისი და-ძმის მიმართ და მათი გაქრობის სურვილი ებადება. ეს კომპლექსი წარმოშობს და-ძმებს შორის პაექრობას, შურის გრძნობასა და და-ძმაზე გამარტვების, მათი გასწრებისა და უკან მოტოვების სურვილს;
2. **ონდიპოს კომპლექსი** – სიყვარულის გრძნობა დედის მიმართ და სიძულვილი მამის მიმართ, მისი გაქრობის სურ-

ვილი. ხშირად ის სრულად წარმართავს ბავშვის ქცევას 5 წლამდე. პაექტონბის, მეტოქეობისა და სიძულვილის ეს გრძნობები მოგვიანებით, მოზრდილ ცხოვრებაში გადაინაცვლებს ყველა იმ ადამიანზე, რომელიც მამის პოზიციას დაიკავებს, მაგ., მასწავლებელი, უფროსი ან ხელმძღვანელი; ეს კომპლექსი ქმნის მეამბოხე რევოლუციონერს, რომელიც ყოველთვის უპირისპირდება ავტორიტეტსა და ძალაუფლებას; ქალებში – ელექტრას კომპლექსი – მამისადმი სიყვარული და დედისადმი სიძულვილი;

3. **დესტრუქციული კომპლექსი** გულისხმობს სისასტიკის ინსტინქტს და ვლინდება ნგრევის იმპულსებში. ბავშვის ორალური კანიბალისტური ტენდენცია მიმართულია საკვების დაქუცმაცებისკენ. ორდესაც ორალური ფაზა ჩაივლის, დესტრუქციული კანიბალიზმი გრძელდება, ოღონდ მიმართულია არა საკვებზე, არამედ გადაინაცვლებს სხვაზე. ამ ეტაპზე სადიზმი მაზოხიმთან კომბინაციაში წარმოჩინდება. ბავშვი, რომელიც ტკბებოდა დესტრუქციითა და სხვებისადმი ზიანის მიყენებით, ამჟამად ტკბება აუტოაგრესით. სუბლიმირებული ფორმით ის წარმოშობს ქირურგებს, გამოჩენილ გენერლებს, ხოლო მაზოხისტური ფორმით ქმნის „ნევროზულ ასკეტიზმს“;

4. **დაზიანების, კასტრაციის კომპლექსი – როგორც კი ბავშვი ანატომიურ სქესობრივ განსხვავებას აღმოაჩენს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქალი არ არის სრულყოფილი და კასტრირებული ჰგონია. ის უშვებს შესაძლებლობას, რომ მასაც იმავეს გაუკეთებენ, რაც აშინებს. ეს შიში აყალიბებს კასტრაციის კომპლექსს. გოგონებიც განიცდიან საკუთარ „არასრულფასოვნებას“. ამ დროს ბიჭი ამაყობს თავისი სქესით და ამ უპირატესობის დაკარგვის ეშინია, ხოლო გოგონა აცნობიერებს თავის „არასრულფასოვნებას“, კაცად გახდომის სურვილი უჩნდება და ცდილობს, აჭობოს მამაკაცებს ან არაცნობიერად იგივდება კიდეც მათთან. ამას დიანას კომპლექსს, ან ამორძალის კომპლექსს ეძახიან. კასტრაციის კომპლექსის სუბლიმირებას ბიჭებში ლიდერად ქცევის გზით საკუთარი უპირატესობის აღიარებისა და შენარჩუნებისაკენ მივყავართ, ხოლო გოგონებში – ისეთი ტიპის ქალამდე, რო-**

მელიც სულ ეჭიბრება კაცებს, იქნება ეს სპორტი, ბიზნესი, პოლიტიკა თუ ხელოვნება;

5. **დაბადების კომპლექსი** – მას წარმოქმნის მშობიარობის ტრავმა. დაბადებისას ბავშვის მიერ განცდილი შფოთვა და ტკივილი ყველა მომავალი შფოთვისა და ტკივილის ბაზი-სურ მოდელს ქმნის. ეს კომპლექსი აგრეთვე ინფანტილური ცნობისმოყვარეობის ფორმას წარმოადგენს. ადრე თუ გვი-ან ბავშვი ინტერესდება ბავშვების დაბადების საკითხით და მაღა რამდენიმე თეორიას ავითარებს. ამ თეორიებს დიდი ზეგავლენა აქვთ მის ქცევაზე. ის ფიქრობს, რომ ბავშვები ჩნდებიან დიგესტიური აპარატიდან – პირიდან, მუცლიდან და სხვ. დაბადების კომპლექსი ვლინდება პროტექციის, დე-დის წიაღში დაბრუნების და იქ განსვენების სურვილში და იღვიძებს მაშინ, როცა ადამიანი ცხოვრებისეულ სიძნელეებს უპიროისპირდება;

6. **დედასთან განშორების კომპლექსი** – დაბადების შემდგომ ყველაზე დიდ ტრავმას დედასთან, მის ძუძუსთან განშორება წარმოადგენს. ფსიქიკურ ფენომენთა ერთობლიობა, რო-მელიც ჰგულდება და ერთიანდება დედისგან განშორების განცდის გარშემო, ქმნის დედისგან განშორების კომპლექსს. ამ კომპლექსის აქტივაცია შესაძლებელია მოხდეს იმ სიტუა-ციებში, რომლებიც ამ განშორებას მოაგონებს ადამიანს. მაგ., საბავშვო ბაღში და სკოლაში წასვლა, ოჭახთან განშორება და დაქორწინება. ბავშვს, რომელშიც დომინირებს ეს კომ-პლექსი, უნარი არ შესწევს ადვილად შეეგუოს ახალ ვითარე-ბებს და ახალ ცხოვრებისეულ სტილს. ამ დროს ვლინდება ექსცენტრულობა საკვებთან მიმართებით – გაუმაძღვრობა, სიხარბე, რომელიც შემდგომში გადაინაცვლებს მენტალურ სფეროში და იწვევს უკიდურეს ამბიციებსა და სურვილს, თავი აარიდოს რეალობას;

7. **გაქცევის/განრიდების კომპლექსი** – ვლინდება იმ შემთხ-ვევაში, როდესაც ბავშვი და, შემდგომში, ზრდასრული აღ-მოჩნდება ახალი გარემოებების წინაშე, რომლებიც მან უნდა გადალახოს და გადავიდეს ერთი საფეხურიდან მეორეზე. ამ დროს ის ახლის მიმართ შიშს განიცდის და უჩნდება გაქცე-ვის რეაქცია. იმპულსმა, შესაძლოა, წარმოშვას ნოსტალგია

წარსულისადმი, ხოლო ამ ნოსტალგიას რეგრესისკენ მივყართ. მისი ინტერესი შეინით წარიმართება და ის საკუთარ თავზე ცენტრირებული ხდება, თვითშეყვარებულ მარტოობაში აღმოჩნდება და ხშირად ნარცისიზმში ეუფლება. ამ ფენომენს ხშირად ვხვდებით მოზარდებთან;

8. არასრულფასოვნების კომპლექსს შემდეგი ფაქტორები ქმნის:

ა) **ორგანოთა დეფექტი** – იგულისხმება ბავშვის სხეულის რომელიმე ნაწილის ან ორგანოს თანდაყოლილი თუ შეძენილი დეფექტი;

ბ) **აღზრდა** – აქ აღინიშნება ორი უკიდურესობა: მეტისმეტი სიმკაცრე და სიზარმაცის წამქებელელი განებივრება. ბავშვი აღზრდის ამ ფორმებს ორგვარ შედეგამდე მივყავართ:

1. „**სამაგალითო**“ ბავშვი, რომლის ქცევაში წამყვანია კონფორმიზმი და უსიტყვო მორჩილება.

ასეთი ბავშვი მოზრდილ ასაკში უინიციატივო ხდება და უჭირს ცხოვრებისეულ სიძნელეებთან ბრძოლა და მათი გადალახვა; 2.

მეამბოხე, დაუმორჩილებელი ბავშვი, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ამბიცია, სიჭიუტე და გადაჭარბებული მგრძნობელობა მარცხისადმი. ასეთ ბავშვებს მოზრდილ ასაკშიც, მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, აღნიშნებათ გადაჭარბებული არასრულფასოვნების განცდა; 3.

განებივრებას ყოვლისშემძლეობის გრძნობამდე მივყავართ. ასეთი ადამიანები მკაცრ ცხოვრებისეულ რეალობასთან შეხებისას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მათ სურვილებსა და მოლოდინებს, დეპრესიისკენ არიან მიდრევილები;

გ) **ოჯახური კონსტრულაცია** – მასში იგულისხმება ბავშვის ადგილის, როლისა და სტატუსის თავისებურება (ობოლი, ერთადერთი ბავშვი, უმცროსი, ოჯახის მამაკაცების გარემოცვაში გაზრდილი ერთადერთი გოგონა და, პირიქით, და არასასურველი ბავშვი) და მისი ზეგავლენა ბავშვისა და მოზრდილის ხასიათის ჩამოყალიბებაზე;

დ) **სქესობრივი განსხვავება** დიდ როლს თამაშობს არასრულფასოვნების კომპლექსის გაძლიერებაში. შეგნებულად ან შეუგნებლად, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი ნაკლებად ფასობს. სქესობრივი განსხვავების სპეციფიკური

დატვირთვა (მამაკაცური=dლიერი, ფასეული; ქალური = სუსტი, ნაკლებადფასეული) წარმოშობს მამაკაცში ტენდენციას, რომ რადაც არ უნდა დაუკდეს, თავისი უპირატესი პოზიცია შეინარჩუნოს, რასაც ყოველთვის თან ახლავს მამაკაცური პოზიციის დაკარგვის შიში, ხოლო ქალებში იმპოტენტურ შურსა და მასკულინურ პროტესტს აღძრავს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ქალის გაქცევა ქალურობისაგან და მისი მისწრაფება, გაუტოლდეს მამაკაცს, მამაკაცურ როლებს, რაც ვლინდება მამაკაცთან განუწყვეტელი შეჭიბრებითა და პაექრობით. კომპლექსები განცალკებებულად კი არ მოქმედებენ, არამედ ქმნიან ერთმანეთთან დაკავშირებულ მთლიან ენერგეტიკულ ქსელს.

ფსიქოანალიზის სხვადასხვა სკოლა, აგრეთვე, განასხვავებს: დედის, მამის, გმირის, ფულის, ფარისევლის, მეზვერის, განტევების ვაცის, ესავის, იუდას, უძღები შვილისა და სხვ. კომპლექსებს.

ჩვენი კომპლექსის გამოსაცნობად საჭიროა დავაკვირდეთ საკუთარ ემოციებს და გავარკვიოთ:

1. თუ რა იწვევს ჩვენში ძლიერ ემოციებს;
2. როდის ვაკონტროლებთ ზედმეტად სხვა ადამიანებს;
3. რა პირობებში გადავდივართ უსაფუძვლო თავდაცვით პოზიციაში;
4. რომელ იდეას ვაქცევთ რიგიდულ დოგმად;
5. ვის და რის მიმართ ვართ ფანატიკურად განწყობილი;
6. როდის ვართ ზედმეტად ჭიუტი და ბრმად შეუვალი;
7. ვინ გვიყვარს, ვინ გვძულს და რა თვისებების გამო;
8. როდის ვხდებით შეუსაბამო და არაადეკვატურები;
9. რის მიმართ ვავლენთ მოუთმენლობას, დაუფიქრებლობას და ვიქცევით ნაჩქარევად;
- 10 როდის ვართ ზედმეტად თავდაჭერებულები და არ ვუსმენთ სხვის აზრს;
11. რის მიმართ ვავლენთ ეიფორიას და როდის ვხდებით უკიდურესად რომანტიკულები;
12. რა ცხოვრებისეული გამოწვევა/პრობლემა გვანგრევს;

- 13 როდის ვხდებით აგრესიულები;
14. რა გვაიძულებს მოვიქცეთ ირაციონალურად, მაგ., ფულის უაზრო ფლანგვა, საკუთარ თავთან ლაპარაკი.

კომპლექსი არღვევს ჩვენს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, აუკულმართებს მოვლენებისა და საკუთარი თავის ხედვას და ხელს გვიშლის მიზნის მიღწევაში.

კომპლექსი შეესაბამება ვნებებს, მაგ., კაენისა და დესტრუქციის კომპლექსები – მრისხანების, დედისგან განშორების კომპლექსი – შიშისა და სასოწარკვეთის, იუდას კომპლექსი – სასოწარკვეთისა და ღალატის, ფარისეველის კომპლექსი – ნაყროვანების, ხოლო დედის კომპლექსის ზოგიერთი ფორმა – მრუშობის ვნებებს.

რაში მდგომარეობს მათი მკურნალობა, როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ვნებებისა და კომპლექსებისგან? რელიგია გვთავაზობს სულიერ მოღვაწეობას ან შინაგან მღვიძარებას. ამ უკანასკნელს ფსიქოლოგიაში ფხიზელი, ნათელი ცნობიერება, გაცნობიერებისა და ნებელობის უნარები შეესაბამება.

კომპლექსის უვნებელსაყოფად უნდა: 1. გავაცნობიეროთ კომპლექსი, ანუ მოვახდინოთ მისი იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას, ანუ დაუფლებას, ხოლო, საბოლოო ჭამში-პიროვნულ ზრდას; 2. მისი უკუპროცეცირება უნდა მოვახდინოთ, ანუ ის უნდა დავაბრუნოთ ცნობიერებაში; 3. გავაცნობიეროთ, თუ რა მიზნებს ემსახურება კომპლექსი; 4. მოვახდინოთ კომპლექსის ტრანსფორმირება, ცნობიერი და ემოციური ძალისხმევითა და 5.გავაფართოვოთ ჩვენი პიროვნება კომპლექსების ინტეგრაციის გზით.

ამ მიზნების მისაღწევად გამოიყენება განსხვავებული მიმართულების ფსიქოთერაპია. ფსიქოთერაპიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პიროვნების სულიერ განზომილებასა და პიროვნების

გრდაბე მიმართულ მიღებას. ამის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადებათა ახალი კლასიფიკაცია, რომელიც გლობალიზაციით გამოწვეული ფსიქიკური ხარვეზების აღმოფხვრაზეა მიმართული და რომელიც მზადდება მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ და პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრიის სახელწოდებით იქნება ცნობილი.

პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრია (Psychiatry for the Person) შემდეგ პრინციპებს ეფუძნება (Mezzich J.E. E. 2007):

1. იგი მიმართულია პაციენტის მთელ პიროვნებაზე, მის როგორც ავადმყოფურ, ასევე ჰანსაღ ნაწილზე; 2. მკურნალობის პროცესში ჩართული უნდა იყოს ფსიქიატრის პიროვნება მთელი ადამიანური რესურსითა და პოტენციალით და მისი არამარტო ის ნაწილი, რომელიც აბსტრაქტულ-განყენებული, საჭირო ინფორმაციით აღჭურვილ ტექნიკოსთან ასოცირდება;
3. მკურნალობის პროცესი პიროვნებაზე უნდა იყოს მიმართული, პაციენტის თვითრეალიზაციას უნდა უწყობდეს ხელს;
4. მკურნალობა პაციენტის პიროვნებასთან ერთად სამკურნალო პროცესში მისი აქტიური ჩართვით უნდა ხორციელდებოდეს. რაც გულისხმობს მკურნალობის პროცესში პაციენტთან პატივისცემით აღსავსე თანამშრომლობას და მის დახმარებას.

J. Hiatt-ის მიხედვით (Hiatt J. 1986), სულიერი განზომილება შემდეგი პრინციპებით ხასიათდება:

1. იგი განეკუთვნება პიროვნების იმ ინსტანციას, რომელიც საზრისისა და მნიშვნელობის, ჭეშმარიტების, საგნებისა და მოვლენების არსის წვდომითაა დაკავებული; ანუ აქვს **ნოეტური ფუნქცია**;
2. ეს მნიშვნელობა უხილავი, არაცნობიერი სფეროდან მოდინარეობს და ფსიქოთერაპია მიმართულია სწორედ ამ უხილავი საზრისის წვდომასა და გაცნობიერება-გაშუქებაზე, ანუ აქვს **პერმენევტიკული ხასიათი**;

3. ეს სულიერი განზომილება ძირითადად განცდაში გვეძლევა და მას უფრო ინტუიციური, ვიდრე ცნებით-ლოგიკური, ხასიათი აქვს;
4. ის სტატიკურობას მოკლებული დინამიკური პროცესია და წარმოადგენს უფრო უწყვეტ ნაკადს, ვიდრე სტრუქტურას;
5. ეს ნაკადი ეფოლუციურია, მიისწრაფვის სრულყოფისავენ, ანუ აქვს ტელეოლოგიური ხასიათი;
6. სულიერი განზომილება ვლინდება პიროვნების სპეციფიკურ ქცევასა და კონცეპტუალურ სისტემებში. მათ სპეციფიკურ შინაარსზე დიდწილად მოქმედებს ადრეული გამოცდილება, რის გამოც ისინი კარგავენ ცოცხალ კავშირს და ვეღარ ასახავენ სულიერ რეალობას. ისინი უნივერსალური პროცესის ობიექტურ მანიფესტაციას წარმოადგენენ და სულიერი ზრდის საშუალებად შეიძლება იქცნენ. მაგრამ აյ არის ერთი საშიშროება, კერძოდ, ის, რომ მათი დოგმატიზაციის შემთხვევაში, ეს ობიექტივირებული ფსიქოლოგიური განცდები სულიერი ზრდის არა მხოლოდ საშუალებად განიხილება, არამედ ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანციის სახეს იღებს. მეორე საშიშროება მათი სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებთან აღრევაშია, რასაც შედეგად მათი გაქრობა მოჰყვება;
7. პიროვნების სულიერ ასპექტს ინდივიდზე ზემოქმედების მაინტეგრირებელი, სინთეზური ფუნქცია აქვს. ის თავს უყრის პიროვნების განცალკევებულ ნაწილებს, განცდათა ფრაგმენტებს და მათ ერთ მთელში მოაქცევს. იგი აღიქმება აგრეთვე, როგორც პიროვნების სრულყოფისა და სამყაროსთან მისი ჰარმონიული ურთიერთობისავენ მიმართული მამოძრავებელი ძალა. საზრისისა და მნიშვნელობის მასაზრდოებელი გამთლიანების ეს უნარი იზიდავს ადამიანს და პიროვნებაც მიისკენ მიისწრაფვის.

ამას აღნერს ერიკ ერიქსონი „მე-ს მთლიანობის“ (Ego integrity) ცნებაში (E. Ericson 1959), რასაც კ.გ. იუნგის ცენტრისკენ-ვერსიის (Centroversion) ცნება (C. G. Jung 1966) შეესაბამება. სულიერი განზომილების ფენომენოლოგიური გამოვლენა ხდება ამ სფეროსთან უშუალო შეხების დროს, რაც არის ხანმოკლე, მოულოდნელი და ხშირად გამოუცნობი რჩება. იგი

გარკვეული წვრთნის (მედიტაცია, ლოცვა) შედეგად მიიღწევა ან შეიძლება მძაფრ, ემოციურად დამუხტულ და ეგზისტენციალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში (მაგ., სიკვდილის საშიშროება) გამოვლინდეს.

მასლოუ აღნერს ე.წ. „პიკურ განცდებს“ (Maslow A. 1968). ამ განცდისას ხდება დაინტერესებული ჭვრეტა (Being Cognition), რომლის დროსაც ჩვენ საგნებსა და ადამიანებს უანგაროდ, ყოველგვარი პირადი დაინტერესების გარეშე ვუყურებთ. ამ დროს პიროვნებას უკიდურესი ბედნიერების განცდა ეუფლება. ეს განცდები შეიძლება წარმომიშვას რელიგიურ-მისტიკური ან ესოეტიკური, შემოქმედებითი აღმაფრენის, ინტელექტუალური ინსაიტების და სხვ. დროს. პიკურ განცდებს ხშირად თან ახლავს საკუთარი მე-ს საზღვრების დაკარგვა. ყველა ეგზალტირებული განცდა როდი მიეკუთვნება პიკურ განცდას. მაგ., სპორტსმენის სიხარული დიდი გამარჯვების გამო არ წარმოადგენს პიკურ განცდას, რადგანაც ის აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილებით არის გამოწვეული. პიკური განცდისას აღქმული ობიექტი განიცდება, როგორც უნიკალური და დასრულებული. პიკური განცდა ერთიანობის ტიპურ განცდას წარმოადგენს, რომლის დროსაც ჩვენ საკუთარ თავს ერთი მთლიანის ცალკეულ ასპექტად აღვიქვამთ, იმ მთლიანის, რომლის ცალკეული ნაწილები ჰარმონიულ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ერთიანობის ამ მდგომარეობაში ყველა აშკარა დიქოტომია გადალახულია და შერიგებულ თანხმობაში იმყოფება.

უ. ჯეიმსს (James W. 1902) რომ დავესესხოთ, ამ დროს სამყაროში არსებული ყველა წინააღმდეგობა და კონფლიქტი, რომლებიც ყველა ჩვენი უბედურების მიზეზია, თითქოს ერთ გამთლიანებულ რეალობაში ქრება. სულიერი განჩომილების მქონე ადამიანის შესახებ ახალი მოდელისა და რედუქციონისტური სამედიცინო მოდელის შეთანხმება, მათი თანაარასებობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. დასავლური მეცნიერული მიდგომა იმ პოსტულატს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც, ობიექტური დაკვირვება შესაძლებელია და

განსხვავება დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის აშკარაა. ეს მიღვომა სამყაროს, აბსოლუტურ დრო-სა და სივრცეში მექანიკური კანონებით მოქმედ მანქანად აღიქვამს, რომელშიც ნაწილაკები ერთმანეთისგან ცარი-ელი სივრცითაა განცალკევებული. მიუხედავად იმისა, რომ კვანტური ფიზიკა და ფარდობითობის თეორია აბათილებს ამ პოსტულატებს, მეცნიერება და მედიცინა მაინც ეყრდნობა მათ. სუბატომურ და ვარსკვლავთაშორის დონეზე, დრო და სივრცე აბსოლუტური, ხოლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ლინეარული აღარაა, ელემენტარული ნაწილაკების ნაცვ-ლად მიმდინარეობს პროცესები, ხოლო მატერია ენერგიას წარმოადგენს. სამყარო წარმოადგენს უწყვეტი ენერგიის მოძრავ ველს, რომელშიც მატერია, ამ ენერგიის კონცენტა-ციის გზით, განუწყვეტლივ იქმნება, ტრანსფორმირდება და შემდგომში ქრება. ამ სამყაროში წაწილები ურთიერთდაკა-ვშირებულია, სადაც დამკვირვებელი, სუბიექტი განუყოფე-ლია დაკვირვების ობიექტისგან. აქედან გამომდინარე, დამ-კვირვებელი მოქმედებს საკვლევ ობიექტზე.

თანამედროვე მეცნიერული ჰიპოთეზის თანახმად, სამყარო ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არ არსებობს, ამიტომ ნებისმიერი თეორია ფიზიკური სამყაროს შესახებ ცნო-ბიერების თეორიასაც უნდა ითვალისწინებდეს. სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი წარმოადგენს გონებისა და ფსიქიკის იმ წაწილს, რომელზედაც ევგლიფური სივრცე, ლინეარული დრო და კაუზალობა, სუბიექტ-ობიექტის გან-სხვავება არ ვრცელდება და რომელშიც ჩნდება ობიექტთა იდენტურობისა და ურთიერთცვლილების განუწყვეტელი ნაკადი. კვანტურ-ფარდობითობის, ფსიქოდინამიკური და სულიერი მოდელების თანხვედრა მიგვითითებს იმას, რომ ფენომენალურ სამყაროს საფუძვლად ენერგიის დინამიკური ველი უდევს. აღმოსავლური და დასავლური ანტიკური სუ-ლიერი ტრადიციები იზიარებდნენ ამ თვალთახედვას და თვ-ლიდნენ, რომ ხილული სამყაროს საფუძველში ღვთაებრივი ენერგიაა.

სულიერებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიაშემდეგ პრინციპებს ეყრდნობა: 1. ყოველ ჩვენგანს სულიერი მომწიფების, თვითრეალიზაციის (Maslow A. 1954), ინდივიდუაციის (Jung C. 1966) უნარი აქვს; 2. სულიერი სიმწიფე და ზრდასრულობა გულისხმობს ჩვენს იდენტიფიცირებას საკუთარ აუტენტურ მე-სთან, თვითობასთან; 3. ადრინდელი ფსიქოანალიტიკური მოდელისგან განსხვავებით, რომელიც მე-ს კონფლიქტურ და ნევროტულ ინსტანციად განიხილავდა, სულიერებაზე ორიენტირებული მოდელის თანახმად, ჩვენი აუტენტური მე უკონფლიქტო, ჰანმრთელ, გამთლიანებულ ცენტრს წარმოადგენს;. 4. ადრინდელი ფსიქოანალიტიკური მოდელისგან განსხვავებით, სულიერებაზე ორიენტირებული მოდელის მიხედვით, ჩვენი მე არსებობს და ფუნქციონირებს ცნობიერ, არაცნობიერ და უფრო ღრმად განდევნილი აუტენტური მე-ს დონეზე; 5. ძველი მოდელისგან განსხვავებით, რომელიც მიიჩნევს, რომ დაავადება გამოწვეულია კონფლიქტით, ახალი მოდელის თანახმად, ავადმყოფობა გამოწვეულია აუტენტური მე-სგან დაცილებითა და დაშორებით და მასთან იდენტიფიცირების გაძნელებით; 6. მკურნალობის პროცესი მდგომარეობს პაციენტის მცდარ მე-სთან განშორების, დეზიდენტიფიცირებისა და აუტენტურ მე-სთან იდენტიფიცირების პროცესის ხელშეწყობაში.

ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორ განიხილავს სულიერი ფსიქოთერაპია ეგოიზმს. საკუთარი თავის სიყვარული, ანუ სიყვარული, რომელიც მიმართულია საკუთარი თავისკენ, ხშირად ეგოიზმთან, ანუ ნარცისიზმთან არის გაიგივებული, რაც საკუთარი გარენობის, ანუ ნიღბის (იუნგი) სიყვარულს ნიშნავს. საკუთარი თავის სიყვარულის დროს აუცილებელია განვასხვავოთ ის, თუ როგორ გვიყვარს და რა გვიყვარს საკუთარ თავში. ეგოიზმი ჩნდება მაშინ, როცა ადამიანს უყვარს ტკბობის, ფლობისა და დომინირების ასპექტები საკუთარ თავში. მაგრამ თუ ადამიანს უყვარს ის, რაც ადამიანში უმაღლესი და არსებითია, ის, რაც მას ცხოველისგან განასხვავებს და ადამიანად აქცევს, მისი იდეალური ღვთაებრივი პლასტი, მაგ., თუ უყვარს საკუთარ თავში სულიერი ზრდისა და გან-

ვითარების ტენდენცია, შემოქმედების უნარი და სხვებთან ჯეშმარიტი ურთიერთობა, მაშინ ასეთი სიყვარული ეგოიზმს მოკლებულია და ზრდის ცხოვრების ხარისხს. ამ დროს ჩვენ უფრო მაღალი ხარისხის ცხოვრებით ვცხოვრობთ. ასეთი სიყვარული მოყვასისადმი სიყვარულის დაბრკოლებას კი არ წარმოადგენს, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას. ეგოისტი ვერ საზღვრავს საკუთარი თავის ფარგლებს და საკუთარი პრიზმიდან უყურებს მთელ სამყაროს, რაც ფსიქიკური ინფლაციის ნიშანია.

სულიერი ფსიქოთერაპიის განსხვავება ფსიქოთერაპიის სხვა მიმართულებებისგან შესაძლებელია განვიხილოთ ფროიდისა და იუნგის მიდგომის ზოგიერთი ასპექტების ანალიზის საფუძველზე. ფროიდის მიდგომა ანალიტიკურ-რეალუციონისტულია, ანუ მას რთული მარტივამდე დაჰყავს. მაგ., სიყვარული – სქესობრივ ინსტინქტამდე, განსხვავებით იუნგისგან, რომელიც სულიერ ინსტინქტებს, ანუ ადამიანის თანდაყოლილ სულიერებაზე ლაპარაკობს. ფროიდის მიხედვით, რელიგია კოლექტიური ნევროზის ფორმას წარმოადგენს, ხოლო იუნგის მიხედვით – ადამიანის მეტა-მოთხოვნილებას. ფროიდის მეთოდი კაუზალურია, ანუ ის დაავადების მიზების გამოაშვარავებით შემოიფარგლება, ხოლო იუნგის მეთოდი არა მარტო მიზებზე, არამედ დაავადების მიზანზეცაა ორიენტირებული. ანუ იგი ტელეოლოგიურია, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩავწვდეთ პიროვნების არსს, მისი დაავადების მნიშვნელობასა და საზრისს, როდესაც გამოვარკვევთ, თუ რისკენ მიისწრაფვის ავადმყოფის პიროვნება. იუნგი არაც-ნობიერ სფეროს განიხილავს, როგორც მიზნების განხორციელებისაკენ მიმართულ სისტემას; ხოლო დაავადებას, არა მარტო როგორც დარღვევასა და დეზადაპტაციას, არამედ – როგორც დადებითი ასპექტების მქონეს, რომელშიც თვით-რეალიზაციის შესაძლებლობას ხედავს.

ამგვარად, სულიერი განზომილება წარმოადგენს პიროვნების იმ ასპექტს, რომელიც ჰერმენევტიკულ-სინთეზური და

ნოეტური ფუნქციის მატარებელია და მიისწრაფვის აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, თუმცა, არცერთ რელიგიურ სისტემას არ მიეკუთვნება.

სულიერი ფსიქოთერაპიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს **მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია**, რომელიც მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებლურ ტრადიციას ეფუძნება. მოვლედ შევჩერდებით მის ძირითად პრინციპებზე.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია ფსიქიკის მკურნალობის მეთოდთა და ფსიქოლოგიურ მიდგომათა იმ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მართლმადიდებლურ რწმენას და ერთიანი სამოციქულო ეკლესიის სულიერ, ასკეტურ და სალიტერატურო გამოცდილებას ემყარება. დამოუკიდებელ მიმართულებად მისი ჩამოყალიბება განპირობებულია რელიგიურ-კონფესიური ელფერით, რადგანაც მას საფუძვლად უდევს: 1. მართლმადიდებლური ანთროპოლოგიისა და ჰომილევტიკის თეორიული ცოდნა და გამოცდილება; 2. წმინდა მამათა ასკეტური გამოცდილება და მათი სწავლება სულიერი ცხოვრების შესახებ; 3. წმინდა მამათა სწავლება ვნებების, როგორც დაავადების გამომწვევი მიზეზისა და სულიერი მოღვაწეობის, ღვაწლის შესახებ. 4. ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება სულისათვის ზრუნვის საქმეში; 5. წმინდა წერილზე დამყარებული ქრისტიანულ-ზნეობრივი მოვალეობის გაგება.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მიმართულია რა ადამიანის ადაპტაციასა და სულიერ ხსნაზე, ინტერდისციპლინური პრობლემის გადაწყვეტას სამედიცინო, სოციალური და სოტეროლოგიური ასპექტების გათვალისწინებით ცდილობს.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია ემყარება წმიდა მამათა სწავლებას: 1. ადამიანის ტრიქოტომული აგებულების შესახებ; 2. ადამიანის, როგორც ღვთის ხატისა და მსგავსების შესახებ; 3. მადლის, სულიერი მღვიძარებისა და განმღრთობის შესახებ.

პიროვნების ქრისტიანული გაგება პიროვნების განუმეორებლობას, მის ღვთაებრივ წარმომავლობას ეფუძნება. იგი განსხვავდება იუდეური ანთროპოლოგიისაგან, სადაც პიროვნება განიხილება, როგორც მხოლოდ ერის, საბოგადოებისა და მთლიანის ნაწილი. პიროვნების გაგება მართლმადიდებლობაში არის აბსოლუტური, პერსონალური და იპოსტაზური, ანუ თვითმყოფადი არსებობის მქონე. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ დაიყვანება ინდივიდის, როგორც გვარის ცალკეული, კონკრეტული ნაწილის ცნებამდე (Хоружий C.C 1994).

გამოყოფენ მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის ორ ფორმას: 1. **ეკლესიურს**; 2. **მეცნიერულ-პრაქტიკულს**. პირველი გულისხმობს საეკლესიო წესების, რიტუალების, ლიტურგიისა და საეკლესიო საიდუმლოებათა ფსიქოთერაპიულ, სამკურნალო ზემოქმედებას; მეორე კი – ფსიქოთერაპიული დახმარების სახეებს (დიაგნოსტიკა, კონსულტაცია, პროფილაქტიკა, მკურნალობა), რაც ექიმ-ფსიქოთერაპევტებისა და ფსიქოლოგების მიერ ხორციელდება. ეს უკანასკნელი კი არ ჩაანაცვლებს საღმრთო ლიტურგიისა და წმინდა საიდუმლოთა ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას, არამედ ავსებს მათ. თუ ლიტურგიას განვიხილავთ მისი მისტიკური არსის გარეშე, მაშინ ის წარმოადგენს ისეთ ხელოვნებათა სინთეზს, როგორებიცაა: სახვითი, სიტყვიერ-პოეტური და მუსიკალური. თითოეული მათგანის ფსიქოთერაპიული ეფექტი, ლიტურგიის რითმული სტრუქტურა, მგალობლებისა და მრევლის მონაწილეობა, ემოციური დატვირთვა, ყველაფერი ეს მიმართულია ერთადერთი მიზნისაკენ – უარყოფითი აფექტების განტვირთვისაკენ, ანუ კათარგისისაკენ. პავლე ფლორენსკი (Андроник Игумен, 1986) რითმს, ტემპსა და ინტონაციას ლიტურგიის არსებით ნაწილად მიიჩნევდა. თუ რითმი, ტემპი და ინტონაცია დაცულია, მაშინ ლოცვა და გალობა ადამიანთა სამშვინველზე განმწმენდ ეფექტს ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტურგიის შინაარსი ქვეცნობიერ დონეზე აღიქმება. ამ გაგებით, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რიტუალურ მხარეზე, როგორც არტთერაპიაზე, კერძოდ, მუსიკოთერაპიასა და ბიბლიოთერაპიაზე.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის ამოცანაა, პაციენტს გაუწიოს დახმარება:.. 1.მონანიებამდე მიიყვანოს; 2. ავად-მყოფობის გამომწვევი ვნებების პათოლოგიური მექანიზმი გააცნობიეროს; 3. მნიშვნელოვანი ემოციური განცდების აქტივაციასა და პოტენციურად მთვლემარე სარეზერვო შესაძლებლობები გამოაღვიძოს. მისი საბოლოო მიზანია ღვთის ხატის აღდგენა. ეს კი ათანასე დიდის შემდეგ პრინციპს ეყრდნობა: „ღვთის ხატად ყოფნა ეს ჩემი გონიერი არსებობაა, ხოლო ღვთის მსგავსად – ეს ჩემი ქრისტიანად გახდომის შესაძლებლობაა“.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის ორი ფორმის არსებობის გამო მისი მნიშვნელობის შეფასება ორი პოზიციიდან ხდება: 1. ოფიციალური მედიცინისა და მართლმადიდებელი ფსიქოთერაპევტის, როგორც ექიმის მხრიდან. ფსიქოთერაპევტისა და ექიმის დახმარება არის ძირითადი, ხოლო ეკლესია მისი რიტუალებით, ლიტურგიითა და საიდუმლოებებით სარეაბილიტაციო ეტაპს წარმოადგენს; 2. ეკლესიისა და მორწმუნე ექიმის პოზიციიდან ფსიქოთერაპია მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს, პირველ საფეხურს პაციენტის გაეკლესიურების გზაზე. მეორე ეტაპი კი ქრისტეში ცხოვრებაა.

ლოგოთერაპია. ზოგიერთი ღვთისმეტყველი თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მადლი ადამიანის სულბე უხილავად, უსიტყვოდ მოქმედებს, ამას უნდა დაემატოს დამატებითი საშუალება, სიტყვა, მისი მნიშვნელობა და საზრისი, ანუ ქადაგება. ჩვენს სულთან მსგავსების გამო სიტყვა, ლოგოსი ჩვენს შინაგან სამყაროში აღწევს და აცოცხლებს სულს კეთილი, სულიერი საქმეებისათვის. სიტყვის მასტიმულირებელი ძალა მით უფრო შედევიანია, რაც უფრო მთლიანობითად მოქმედებს ადამიანზე: ბგერა – სმენაზე, აზრი – სამშვინველზე, ხოლო სიტყვის, საზრისის უხილავი ენერგია – სულზე. პრინციპული განსხვავება აქ არის ის, რომ ეს სიტყვიერი ზემოქმედება მართლმადიდებელი ფსიქოთერაპევტის მიერ ხორციელდება.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია ქრისტეცნტრულია, რითიც ის განსხვავდება ჰუმანისტური ფსიქოთერაპიისაგან. მისთვის უცხოა: 1. **ანთროპოლოგიური ჰუმანიზმი**, სადაც სამყარო მხოლოდ ადამიანის სამფლობელოდ განიხილება, ხოლო ადამიანი მხოლოდ ადამიანურობამდე დაიყვანება; 2. **ფსიქოლოგიური მონოფიზიზმი**, რომელიც უკიდურესი ასკეტიზმით ხასიათდება და ამქვეყნიურ სამყაროსა და ადამიანურ ასპექტებს უარყოფს (Хоружий С.С 1998). მას მკურნალობის პროცესში შემოჰყავს სახარების ჭეშმარიტებანი და წმინდა მამათა სწავლება ადამიანის შესახებ. ანთროპოლოგიურიზმი, ადამიანურის გაღმერთება მართლმადიდებლობაში არსებული განმღრთობის ცნების აბსოლუტურად საპირისპიროა. მეორე განსხვავება ხსნის იმ გაუგებრობას, რომელიც წარმოიშობა მეცნიერულ ფსიქოთერაპიასა და იმ საკეთებებით პრაქტიკას შორის, რომელიც ეკლესიურ ცხოვრებას განიხილავს, როგორც ამქვეყნიერის უარყოფას, ეყრდნობა რა ცრუ ასკეტიზმის ცნებას. წმინდა მამათა ასკეზა მიმართულია ადამიანის ბუნებრივი ძალების დაუფლებისაკენ. შინაგანი მღვიძარება არის გონებისა და სხეულის აღზრდა. მას არაფერი საერთო არა აქვს სხეულის დამარცვასა და განადგურებასთან. წმინდა მამათა ასკეზა მიმართულია მთლიანად ადამიანის, მისი სხეულის, სამშვინველისა და სულის აღზრდაზე, მის გარდაქმნაზე. ეს კი ხდება ასკეტური ღვაწლის საშუალებით. სულიერი ღვაწლი არის სამშვინველის თერაპია და ჰიგიენა. ასკეზის მიზანია არა სხეულის გვემა, არამედ ადამიანის ბუნებრივი მონაცემების ადაპტირება ღვთაებრივი მადლის მისაღებად (ვლახოსი ი. 2008).

სახარებაში ექიმის ხატი და მკურნალობის ხელოვნება ხშირად გამოიყენება, როგორც დადებითი მექაფორა. ქრისტიანული აღმოსავლეთის წმინდანები პანტელეიმონი, კოსმა და დამიანე მღვდელმსახურები არ იყვნენ.

მღვდელი და ექიმი კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს და, ამგვარად, ღვთის მსახურები არიან. მართლმადიდებელი ფსიქოთერაპევტი დაჭილდოებულ უნდა იყოს

ქრისტიანული მოწყალებით, კაცთმოყვარეობით, ქრისტეს სიყვარულით, სამედიცინო და ფსიქოთერაპიული ცოდნის ეფექტური გამოყენების უნარით.

ფსიქოთერაპევტს უპრეცენდენტო პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. იგი სამკურნალო დაწესებულებაში იურიდიულადაა პასუხისმგებელი პაციენტებზე, კონფიდიციური მიკუთვნებულობის განურჩევლად.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის მიერ დაცემული ადამიანისაგან ახალი ადამიანის დაბადება, ტრანსფორმაცია სამ ეტაპად განიხილება: 1. საწყისი მოღვაწეობისაკენ მოწოდება; 2.მადლისა და ღვთისგან მიტოვებულობის განცდის ეტაპი, რომლის მიზანია, მოღვაწეს თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული ღვთის ერთგულების გამოვლენის საშუალება მისცეს; 3.მადლის მეორადი მოხვეჭის ეტაპი, რომელიც ღვთის გონიერ შემცნებაზეა აგებული.

მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია ჰოლისტურია. სული-წმინდის ღვთიური მაღლით უნდა გაიმსტვალოს არა მარტო ადამიანის გონება, არამედ მთელი მისი ფსიქო-ფიზიკური არსება. ადამიანი ამ დროს მთელი თავისი არსებით ღვთაებრივ ნათელში ეფლობა, რის შედეგადაც მისი მთლიანი განახლება ხდება. სხეული, გრძნობა, გონება და ნებელობა თანამშრომლობენ ადამიანის განღმრთობის პროცესში.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა მამები არ ახსენებდნენ მართლმადიდებლურ ფსიქოთერაპიას, როგორც ასეთს, მაგრამ დღეს ის არსებობს, როგორც პასუხი დროის მოთხოვნისა.

Лიტერაтура

1. Андроник (Трубачев) игумен Священник Павел Флоренский – профессор Московской Духовной Академии – В кн.: Московская Духовная Академия Богословские труды. Юбилейный сборник. М., 1986, с.;
2. Bauldouin C. The Mind of the Child. International Journal of Psychoanalysis 1934 15:477-478
3. Варнава (Беляев) Епископ, Основы Искусства Святости, Т. 1-3.—Нижний Новгород 1995-1997;
4. Eriksen E., Identity and Life Cycle. Psychological Issues. New York, International University Press., Vol. 1 No 1 1959;
5. Hiatt j., Spirituality ,Medicine and Healing Southern Medical Journal Vol 79 N 6 736-743;
6. James W., The Varieties of Religious Experiences. New York. Longmans green and Co, 1902;
7. Jung C.G. , Two Essays On Analytical Psychology. The Collected Work of Carl Gustav Jung Princeton NJ Princeton University Press, Vol. 7 , 1966;
8. Jung C.G., Conscious , Unconscious, and Individuationo The Archetypes and the Collective Unconscious. CW of Carl Gustav Jung. Princeton NJ Princeton University Press, Vol. 9 , 1966;
9. Киприан (Керн) 7. Архиманд.Антрапология св.Григория Паламы М. 1996;
10. Laplanche J., Pontalis J.B., The Language of Psychoanalysis, Institute of Psychoanalysis 1988;
11. მიტრობლიტი იეროთეოს ვლახოსი, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, თბილისი, 2008;
12. Maslow A., Motivation and Personality (2 nd ed.) New York; Harper & Row 1954;
13. Maslow A., Toward a Psychology of Being (2nd Ed.) Princeton ,N.J.: van Nostrand,1968;
14. Mezzich J.E., Globalization and Psychiatry for the Person. WPA regional Conference/CSP Annual Congress. Shanghai 2007;
15. Хоружий С.С., Аналитический словарь исихастской антропологии М. 1994;
16. Хоружий С.С, К феноменологии аскезы. М. 1998.

ა
გ
ო
მ

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი



საქართველოს
ეროვნული მუზეუმი

ISSN 2298-0199
UDC (უაკ) 323.1+271.22](479.22)
გ-811